# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 18 აპრილი, 2015 წელი.

№70 (7715)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## „სადავო ტერიტორიებით საქართველო იშვიათ ქვეყანათა რიგშია“




ერთმანეთის მიყოლებით, სიგრძეში ათასამდე კილომეტრი ჩვენს მეზობელთან სადავო გვაქვს და ბრიუსელს ერთხელ არ უთქვამს, მოდით რა ქართველებო, დაარეგულირეთ ეს საზღვრებიო. ეტყობა, იქ სერიოზულად არც ფიქრობენ ჩვენს გაწევრებაზე, ამიტომ გვეუბნებიან, რეფორმებიო და ასეთი მეორეხარისხოვანი საკითხები.

3



## ხელისუფლება მაღალმთიან რეგიონებს მიხედავს

5



## ტუბერკულოზნარევი უსულგულობა, უვიცობა, არაპროფესიონალიზმი

4



## „გააჩერეთ გენოციდი!“

ქართველები მზად არიან, რომ ასურელი ბავშვები იშვილონ

2

*ქურიკძეს საკითხავი*



## „რასაც შენში აცოცხლებ, არასოდეს დაიღუპება“...

6

## „შუქიც, ფერიც და რაღაც მესამეც...“

7



**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

ინფორმაცია

## ირაკლი ღარიბაშვილი „სოკარის“ პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარის“ პრეზიდენტ როვნაგ აბდულაევს შეხვდა.

შეხვედრაზე ორი ქვეყნის ურთიერთობების სტრატეგიული საკითხები განიხილეს. მხარეებმა მიმდინარე საინვესტიციო პროექტებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ „სოკარი“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინვესტორია.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას დაესწრნენ„სოკარის„ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი მაჰირ მამედოვი და აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში აზერ ჰუსეინი.

## გადაიხედება ბუნებრივი აირის კომერციული ტარიფები

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე უახლოეს მომავალში ბუნებრივი აირის კომერციული ტარიფის გადახედვას არ გამორიცხავს.

რაც შეეხება სამომხმარებლო ტარიფს, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ხელისუფლება უკვე დიდი ხანია, ახორციელებს სამომხმარებლო ტარიფის სუბსიდირებას, კერძოდ 2012 წლიდან, როდესაც 5 თეთრით მოხდა შემცირება.

„რაც შეეხება კომერციულ ტარიფს, ამაზე იყო საუბარი თითქოს უნდა მომხდარიყო ტარიფის გაძვირება კომერციული სექტორისთვის. ამაზე ჯერ კიდევ ვმუშაობთ. თუმცა, სადისტრიბუციო კომპანიები თავისი სახსრებით ახერხებენ, თავი გაიტანონ, თუმცა, უახლოეს მომავალში შეიძლება მოხდეს გადახედვა. ჩვენ ამაზე ვმუშაობთ“, — განაცხადა კალაძემ.

## ინვესტირებისთვის კარგი გარემოა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტს სერ სუმა ჩაკრაბარტის შეხვდა.

მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და EBRD-ის თბილისში დაგეგმილი ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის დეტალები განიხილეს.

„საქართველო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საიმედო პარტნიორია. ძალიან მნიშნელოვანია ის ყოველწლიური შეხვედრა და ბიზნესფორუმი, რომელიც რამდენიმე კვირაში სწორედ საქართველოში გაიმართება. ჩვენ 1500-მდე ბიზნესმენი, ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი მოვიწვიეთ, რათა საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს, თქვენი ქვეყნის მიღწევებსა და საინვესტიციო შესაძლებლობებს გავეცნოთ. გასულ წელს ბანკმა წარმატებით განახორციელა 215 მლნ ევროს ღირებულების პროექტები სხვადასხვა სექტორში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინვესტირებისთვის კარგი გარემოა“ — განაცხადა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტმა სერ სუმა ჩაკრაბარტიმ.

## ლუკაშენკო ერთ კვირაში გვეწვევა

ბელორუსის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს საქართველოში ვიზიტი 23-24 აპრილს შედგება. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა დავით კერესელიძემ განაცხადა, ვიზიტის ფარგლებში ლუკაშენკო თავის ქართველ კოლეგა გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს შეხვდება.

ალექსანდრე ლუკაშენკო ბათუმშიც ჩავა. ბელორუსის პრეზიდენტი საქართველოს ბიზნესდელეგაციასთან ერთად ეწვევა.

## მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე მერიას დაექვემდებარება

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე თბილისის მერიის დაქვემდებარებაში გადადის. აქამდე მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში იყო, რაც არასწორი და შეუთავსებელია.

„ერთის დაქვემდებარებიდან მეორეს დაქვემდებარებაში გადასვლა ამ დროისთვის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. თუ დამტკიცდება ეს საკითხი, შეიცვლება კანცელარია, შეიცვლება გერბი და ყველა ტექნიკური საკითხის მოგვარების შემდეგ გადავალთ მერიის დაქვემდებარებაში“, — აცხადებენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში.

ვიზიტად მოსკოვში

## რუსეთზე დამოკიდებული „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის პერსპექტივები

**აფხაზეთის პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა 14-დან 17 აპრილამდე მოსკოვში იმყოფებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის, აწგარდაცვლილი ვლადისლავ არძინბას ქვრივი სვეტლანა ჯერგენია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ასტამურ ტანია, საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა და აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ვასილ ავიძბა.**



16 აპრილს რაულ ხაჯიმბა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში სიტყვით გამოვიდა, რის დროსაც ვლადისლავ არძინბას დამსახურებასა და მის სახელმწიფოებრივ როლზე ისაუბრა. როგორც ცნობილია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არძინბა სწორედ ამ სამეცნიერო დაწესებულებაში მუშაობდა.

მოგვიანებით, იმავე დღეს, რაულ ხაჯიმბა მოსკოვში არსებულ აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა. როგორც მან განაცხადა, აფხაზეთი იყო, არის და იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო. აფხაზეთი არც ერთი ქვეყნის შემადგენლობაში შესვლას არ აპირებს. „ამას საჯაროდ და ხმამაღლა ვამბობ: აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ჩვენ იმისთვის არ გაგვიწირია ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლე, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა ერთ წუთში გაქრეს“, — აღნიშნა რაულ ხაჯიმბამ. „კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი რუსეთს და იმ სახელმწიფოებს, რომლებთანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ, ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარებისათვის. მზად ვართ, მათთან ურთიერთობა გავაღრმაოთ“.

შეხვედრის დროს რაულ ხაჯიმბა შეეხო რუსეთის მიერ აფხაზეთისათვის გაწეულ ფინანსური და ეკონომიკური დახმარების საკითხს. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთს მხოლოდ რუსეთის იმედზე ყოფნა არ გამოადგება და საჭიროა, ქვეყანამ საკუთარი რესურსები გამოძებნოს ბიუჯეტის შესავსებად. „ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში აფხაზეთის ბიუჯეტი დაახლოებით სამ მილიარდ რუსულ რუბლს შეადგენს და აღარ იზრდება, ამიტომაც რუსეთის დახმარება მნიშვნელოვანია, თუმცა, მხოლოდ მოსკოვის იმედზე ყოფნა აღარ გამოგვადგება. ჩვენ ჩვენი რეზერვები უნდა გამოვიყენოთ, რომელთა მოცულობა საკმაოდ დიდია. აუცილებელია გადასახადების სფეროში კონტროლის გამკაცრება“.

პრეზიდენტის თქმით, დღეს აფხაზეთში გადასახადს გადამხდელთა მხოლოდ 25-30% იხდის, სხვები კი შემოსავლებს მალავენ და ჩრდილში არიან. „ამ პრობლემის გადაჭრა აუცილებელია და თუ ამას მოვაგვარებთ, ბიუჯეტის შემოსავლები რამდენჯერმე მოიმატებს“.

რაც შეეხება რუსეთის 5-მილიარდიან დახმარებას, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი — 1 მილიარდი რუბლი, ეკონომიკის განვითარებას მოხმარდება, დანარჩენი კი, ტრადიციულად, სოციალური უზრუნველყოფისთვის დაიხარჯება, — აღნიშნა რაულ ხაჯიმბამ.

**„რია ნოვოსტის“ მასალების მიხედვით მოამზადა**
**სიმონ კილაძემ,**
**„რეპორტიორის“ ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელმა**

XXI საუკუნის აპოკალიფსი

# „გააჩერეთ გენოციდი!“

## ქართველები მზად არიან, რომ ასურელი ბავშვები იშვილონ

**„500-მდე ქართული ოჯახი მზადაა, ასურელი ბავშვი იშვილოს“, — ეს განცხადება დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ საქართველოში მცხოვრები ასირიელებთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. შეხვედრაზე ასირიელი ქრისტიანებისთვის თავშესაფრის გადაცემის საკითხი განიხილეს.**

„დავინტერესდით დეტალებით, რომ ვიყოთ მზად რაღაც ინიციატივებისთვის, რომელიც შემდეგ გაჟღერდება მთავრობის სხდომაზე და სხვადასხვა ფორუმზე და ჩვენ ამ ჟესტითა და მათი მოწვევით ხაზს ვუსვამთ ჩვენს მზადყოფნას, რომ შევისწავლოთ კარგად სიტუაცია, ავწონ-დავწონოთ ჩვენი რეალური ძალები და გადავდგათ კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები. სასულიერო პირთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ 500-მდე ქართულმა ოჯახმა მიმართა მათ მზადყოფნით, იშვილონ ეს ბავშვები“, — აღნიშნა გელა დუმბაძემ.

მინისტრის განცხადებით, ისინი ჩვენი ხელისუფლებიდან ელიან კონკრეტულ განცხადებას, რომ საქართველო მზადაა, რაღაც ნაწილი, თუნდაც ბავშვების, მიიღოს, რასაც მოჰყვება უკვე სხვა ქმედებები. ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა შს მინისტრმა, რომლის განცხადებით, ამ თემაზე სავარაუდოდ, მთავრობის სხდომაზე იმსჯელებენ და გადაწყვეტილებას პრემიერი მიიღებს.

„ამაზე, ალბათ, პრემიერ-მინისტრი მიიღებს გადაწყვეტილებას, მთავრობაზე დააყენებს საკითხს და გეცნობებათ. ამაზე მეტ პასუხს ვერ გაგცემთ“, — აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

„გააჩერეთ გენოციდი“, — ამ სახელწოდებით ქართველი ფეისბუქმომხმარებლები პეტიციას ავრცელებენ. საზოგადოება ხელისუფლებისგან მართლმადიდებელი ასირიელებისთვის თავშესაფრის მიცემას ითხოვს. „ისლამური სახელმწიფო“ ასირიელების წამებისა და მკვლელობის შემზარავ კადრებს სისტემატურად აქვეყნებს. აღსანიშნავია, რომ „აი-სი-სი“ და სხვა ტერორისტული დაჯგუფებები, თავად იღებენ კადრებს, აფორმებენ მუსიკალურად და შემდეგ ასაჯაროვებენ.

რამდნიმე ვიდეოში ქრისტიანებს სარწმუნოების შეცვლას სთხოვენ, უარის შემთხვევაში დაუნდობლად კლავენ. შემზარავი კადრები ადასტურებს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები ბავშვებსაც არ ინდობენ. ინტერნეტში გავრცელდა ასურელი ბავშვების მიმართვა, სადაც ისინი იმ საშინელებების შესახებ ყვებიან, რაც თავად ნახეს და შველას ითხოვენ. კადრებში ჩანს ასეულობით მოკლული და ჩამომხრჩვალი ბავშვი, თავმოკვეთილი და ჯვარზე გაკრული ქრისტიანები.

მამა სერაფიმე, რომელიც წარმოშობით ასურელია აცხადებს, რომ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზე ასურელების დახმარების პირობა მიიღო.

„ბატონმა მინისტრმა თქვა, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა ამ თემაზე იმუშაონ, გაარღმავონ და თუნდაც, მოგვეცეს საშაულება, რომ ჩამოვიყვანოთ ეს დევნილი ხალხი. თანამემამულეები მიგზავნიან კადრებს - სამიხუთი წლის ბავშვებს თავი აქვთ მოჭრილი.

მუსულმანობა ამას არ ქადაგებს და რასაც ესენი აკეთებენ, ეს ტერორიზმია. ყველა ასირიული ეკლესია არის განადგურებული, მძევლად აიყვანეს დედები, მღვდელს ესროლეს, შემდეგ - დიაკონს პირდაპირ წმინდა ტრაპეზთან. დანარჩენი მრევლი ვინც იყო, ყველა დაცხრილეს“, - აცხადებს მამა სერაფიმე.



საპატრიარქოს პრეს-მდივანი მამა მიქაელ ბოტკოველის განცხადებით, ასირიელი ქრისტიანებისთვის დახმარების გაწევა საპატრიარქოს პრეროგატივა არ არის. როგორც მან „აქცენტებთან“ საუბრისას აღნიშნა, დევნა ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს და ყველას რომ კარი გავუღოთ, ეს შესაძლოა სახელმწიფოსთვის კარგი არ იყოს.

ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ მნიშვნელოვანია იმ ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა, რომლებიც საკუთარი სარწმუნოების გამო იდევნებიან. თუმცა, ამბობს, რომ ასურელების დახმარების დროს სახელმწიფომ უნდა იფიქროს იმაზე, როგორი იქნება მსოფლიო პოლიტიკა ამ შემთხვევაში.

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე ფიქრობს, რომ ამ პრობლემის ალსაკვეთად იმ დიდმა სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ, რომლებსაც ხელეწიფებათ ამ პრობლემის გადაჭრა და თუ საჭირო გახდება, სამხედრო ჩარევითაც კი ალკვეთონ 21-ე საუკუნის ფაშიზმი.

„ჩვენ ამ შემთხვევაში მორალური მხარდაჭერის მეტი არაფერი არ შეგვიძლია გავაკეთოთ. რაც შეეხება ამ ბავშვების შვილად აყვანის საკითხს, ეს უფრო ფაქიზი თემაა. როდესაც ოჯახი იშვილებს, მისი ინტეგრირება ხდება იმ სამყაროში, იმ კულტურულ-რელიგიურ სივრცეში, რომელი ოჯახის შვილიც იქნება, ეს რამდენად მისაღებია მათთვის, რამდენად არის ამისთვის მზად ეს ეთნოსი, ეს ყველაფერი გასარკვევია. ასე ხელაღებით ვერ ვიტყვით ეს კარგია, თუ ცუდია“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სერგო ვარდოსანიძე.

კვირას, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ასირიელი ქრისტიანების მხარდასაჭერად სოლიდარობის აქციები გაიმართება. აქციის ორგანიზატორები ხელისუფლებას მოუწოდებენ, საქართველოს ტერიტორიაზე შეიფარონ ასირიელი ოჯახები და ბავშვები.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, 2012 წლიდან დღემდე, საქართველოს თავშესაფრის თხოვნით სირიის 167-მა მოქალაქემ მიმართა. აქედან ლტოლვილის სტატუსი ხუთს, ჰუმანიტარული კი 62 პირს მიენიჭა. დღესდღეობით განიხილება 31 საქმე, 51 საქმე შეწყდა იმის გამო, რომ განმცხადებელმა ქვეყანა დატოვა, ხოლო 18 პირს სტატუსზე უარი ეთქვა.

**თამთა ქარჩავა**

# „სადავო ტერიტორიებით საქართველო იშვიათ ქვეყანათა რიგშია“



**„საქართველო, ალბათ, მსოფლიოში იმ რამდენიმე ქვეყნის რიცხვშია, რომელსაც თავის არც ერთ მეზობელთან საზღვარი არ აქვს დადგენილი, ჩვენ სადავო ტერიტორიები გვაქვს აზერბაიჯანთან, რუსეთთან, სომხეთთან და თურქეთთანაც კი“, — აცხადებს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე For.ge-სთან საუბარში და ნატოსთან საქართველოს ურთიერთობას სწორედ ამ ჭრილში უპერსპექტივოდ მიიჩნევს. ამიტომ საქართველოს ამოცანა მეზობლებთან სასაზღვრო დავების გადაწყვეტა უნდა იყოს.**

**— საქართველოში ხელისუფლებები იცვლებოდა, მაგრამ ათწლეულების განმავლობაში გადაუჭრელი რჩებოდა ჩვენს უახლოეს მეზობლებთან საზღვრების დემარკაციის საკითხი. ხომ არ ფიქრობთ, რომ ქართველი დიპლომატები მაინცდამაინც პრინციპულად არ ითხოვდნენ მეზობლებისგან ამ პრობლემის გადაწყვეტას და რა სირთულეები შეიძლება გამოიწვიოს გაურკვეველმა საზღვრებმა საქართველოსთვის?**

— ვფიქრობ, საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე არ მივა, მაგრამ ეს დამაბრკოლებელი ფაქტორია ნატოში შესვლასთან დაკავშირებით. აფრიკაში არც ერთ ქვეყანას არ აქვს ზუსტად დადგენილი საზღვრები, იქ სულ დავაა საზღვრების ირგვლივ, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, აფრიკის ქვეყნებს არ აქვთ ნატოსა და ევროკავშირში შესვლის პრეტენზია. ჩვენთან პრობლემას დრამატიზმს მატებს ნატოს საკითხი.

**— როგორც ვიცი, ამ კონტექსტში თქვენ დამაფიქრებლად მიგაჩნიათ ჩერნოგორიის საკითხი, რომელსაც ერთი თვის წინათ ევროპარლამენტმა პირდაპირ ულტიმატუმი წაუყენა, რომ ხორვატიასთან სადავო პატარა ნახევარკუნძულის პრობლემას თუ არ მოაგვარებდა, ნატოში ვერ მიიღებდნენ.**

— 11 მარტს ევროკავშირმა სპეციალური რეზოლუციით მოუწოდა ჩერნოგორიას, რომელიც ნატოში შესვლის ნომერ პირველი კანდიდატია, თუ გინდათ, ნატოში შემოსვლა, ხორვატიასთან მშვიდობიანად უნდა დაარეგულიროთ საზღვარი. იქ ახლა პატარა ნახევარკუნძულია სადავო, დაახლოებით საბურთალოსხელა. გადაწყვეტა ნიშნავს საერთაშორისო სამართლის ნორმებით საზღვრის გაფორმებას, ე.ი. დელიმიტარიზაცია-დემარკაციას ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებით. არადა, ჩერნოგორიის ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ არც რუსეთი გამოდის, არც საფრანგეთი და არც გერმანია. ზოგადად, ნატოს წევრ ქვეყნებს, ასევე, ამერიკას აქვთ პანიკური შიში, რომ, თუ წევრებად მიიღეს პატარა ქვეყნები, რომლებიც სულ დავობენ ერთმანეთში და ვერ მორიგებულან, ნატოში მიღების შემდეგ ხომ შეიძლება, ისევ და ისევ ნატოს იმედით გადაწყვიტონ სადავო საკითხის გადაჭრა?! ვთქვათ, ჩერნოგორია გახდა ნატოს წევრი, მას იმედი ექნება, რომ მის ზურგსუკან დგას ნატო, ადგება და უცებ ხორვატიასთან დაიწყებს ომს ისე, რომ ნატოს არც ჰკითხავს. ამით ნატო დელიკატურ სიტუაციაში აღმოჩნდება, რადგან მე-5 პუნქტი ნატოს ავალდებულებს, დაეხმაროს თავის წევრს. ასე რომ, ნატო თავისი სურვილის წინააღმდეგ აღმოჩნდება ომში ჩართული. ასეთი საფრთხე არსებობს საქართველოსთან მიმართებითაც, მაგრამ რატომღაც ჩვენ არავინ ასე დაჟინებით არ გვთხოვს საზღვრების მოწესრიგებას. ბრიუსელი სერიოზულად არ უყურებს საქართველოს ნატოში გაწევრების პერსპექტივას, სწორედ ამაზე მიანიშნებს, რომ ჩვენთვის ის კატეგორიული გაფრთხილება არასდროს წამოუყენებიათ, რაც ახლა ჩერნოგორიას მისცეს. აბა, დაფიქრდით, ერთმანეთის მიყოლებით, სიგრძეში ათასამდე კილომეტრი ჩვენს მეზობელთან სადავო გვაქვს და ბრიუსელს ერთხელ არ უთქვამს, მოდით რა ქართველებო, დაარეგულირეთ ეს საზღვრებიო. ეტყობა, იქ სერიოზულად არც ფიქრობენ ჩვენს გაწევრებაზე, ამიტომ გვეუბნებიან, რეფორმებიო და ასეთი მეორეხარისხოვანი საკითხები.

**— იქნებ, პირველ ეტაპზე, ჩვენგან რეფორმებს ითხოვენ და საზღვრების პრობლემა მერე დადგება დღის წესრიგში?**

— განა ჩერნოგორიას ყველა რეფორმა შესრულებული აქვს? ჩერნოგორიას იმოდენა შენიშვნები აქვს რეფორმებთან დაკავშირებით, რომ საქართველო იმასთან შედარებით სუპერდემოკრატიულია, მაგრამ იქ, სხვათა შორის, მიუთითეს რეფორმებზე. ალბანეთს ყველა რეფორმა აქვს გატარებული? თურქეთში ყველა რეფორმა გატარდა, როცა ნატოში მიიღეს? მაგრამ შემოდგომის სამიტზე რეალურად დადგება ჩერნოგორიის მიღების საკითხი და ამიტომაც რეფორმები კი არ შეახსენა ევროკავშირმა, არამედ — საზღვრები. აქ რიტორიკას არ ვგულისხმობ, თორემ რიტორიკით რეფორმებია მთავარი, თუმცა, რეფორმებზე უფრო მნიშვნელოვანი, ფაქტობრივად, არის საზღვრები.

რაც შეეხება რეფორმებს, თუ ჩვენთან სასამართლო არ არის მაინცდამაინც დემოკრატიული, ეს საფრთხეს არ წარმოადგენს ბრიუსელისთვის, არადემოკრატიული სასამართლო არ ნიშნავს, რომ საქართველოს ინტრიგების გამო ნატო ომში აღმოჩნდება ჩართული, მაგრამ, თუ საზღვარი არ გაქვს გამიჯნული, ნატოსთვის უკვე საშიში ხდები. რუსეთთან ერთი მეტრი საზღვარიც არ გვაქვს დადგენილი, აქ არ ვგულისხმობ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, არამედ ვგულისხმობ დანარჩენ საზღვარს რუსეთთან. 2008 წლამდე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საზღვრების დადგენაზე და 2008 წელს შეჩერდა ეს პროცესი. აზერბაიჯანთან სადავოა დავით გარეჯის მონასტერი და სოფელი ერისიმედი. იცით, რას ამბობენ აზერბაიჯანელი მინისტრები დავით გარეჯთან დაკავშირებით? — ეს რა წესია, სადაც ეკლესია და მეჩეთი დგას, საზღვარი იქ გავატაროთო? ეს ტერიტორია ჩვენია და მართლმადიდებლურ ძეგლს არანაირი მნიშვნელობა არ აქვსო. აზერბაიჯანელების თქმით, ასე თბილისშიცაა მეჩეთი, ასევეა ბათუმშიც, მაშინ მოდით, სადაც მეჩეთია, იქ გავატაროთ საზღვარიო. ასე რომ, საზღვრების დაუდგენლობა, უღიარებელი სადავო საზღვრები გადაულახავი პრობლემაა. რატომღაც ნატოს ადეპტები საქართველოში, ვისაც ჯერ კიდევ ნატოში გაწევრების იმედი აქვს, საერთოდ არ მიუთითებენ მთავრობას იმაზე, რომ უკვე სამი წელია ხართ ხელისუფლებაში, სააკაშვილმა ვერ მოახერხა და თქვენ მაინც მოახერხეთ, დაიწყეთ დემილიტარიზაციის მოლაპარაკებებიო.

იმავე აზერბაიჯანთან 19 წელია, მიმდინარეობს მოლაპარაკება. 19-წლიანი მოლაპარაკება იმას ნიშნავს, რომ პროცესი ჩიხშია შესული. დათმობა არავის უნდა. ჩვენ ვთვლით, რომ დავით გარეჯი, ამხელა ქრისტიანული კომპლექსი, როგორ შეიძლება დავუთმოთ სხვას, აზერბაიჯანელები კი ამბობენ, რას ჰქვია... ეს ჩვენიაო.

**— დავით გარეჯის დასაცავად საპროტესტო აქციები როცა ტარდებოდა, ქართველი ახალგაზრდები აცხადებდნენ, რომ სწორედ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო პასიურობდა და არ სურდათ ამ საკითხის წამოწევა. მხოლოდ რიტორიკის დონეზე რჩებოდა საზღვრების პრობლემა.**

— ამას იმით ავხსნი, რომ ჩვენი ხელისუფლება ხედავს, რომ ეს მოლაპარაკებები უპერსპექტივოა. აქ ერთ-ერთმა უნდა დათმოს. როცა კედელი კედელს ეჯახება, ორივე მხარე კედელივით დგას. ჩვენი პოზიცია ასეთია, რომ სამონასტრო კომპლექსის 2% არის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, 98 %-ია ჩვენს ტერიტორიაზე. ახლაც შეიძლებოდა ამ საკითხის წამოწევა, ვინაიდან ახლახან გაფორმდა ხელშეკრულება აზერბაიჯან-თურქეთ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. მაგალითად, ამას მე კომპრომისის სახით წინაპირობად გამოვიყენებდი, რადგან აზერბაიჯანი სასიცოცხლოდ იყო და არის დაინტერესებული ამ ხელშეკრულებით. მათ პირდაპირ მოვთხოვდი, დავით გარეჯის პრობლემა მიებათ ამ ხელშეკრულებისთვის და კომპრომისზე წასულიყვნენ, ან რაღაც სხვა ფორმა გამოეძებნათ. დიპლომატიაც სწორედ ეგაა, დიპლომატია ხელოვნებაა.

**— ისტორიკოსები იშველიებენ სამართალმემკვიდრეობის საკითხს, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე არ ვართ, ძალით მოგვახვიეს გასაბჭოება და თუნდაც საინგილოსთან (ისტორიულ ჰერეთთან) მიმართებით ორჯონიკიძის ხელოვნური ჩარევის შემდეგ შეიცვალა ჩვენი საზღვრების მდებარეობა. როგორც ამბობენ, მსგავსი ხელშეკრულებები (მაგალითად, თურქეთთან დადებული ყარსის ხელშეკრულება, რომლითაც თურქეთმა ძირძველი ქართული ტერიტორიები — ყარსი, ართვინი და არტაანი მიიღო) ვადაგასულია. ამის გამოყენება რამდენად შესაძლებელია?**

— რასაკვირველია, თუ მტკიცე პოზიციაა, ყველაფერი შეიძლება. კი ბატონო, იყოს საინგილო აზერბაიჯანის მხარეში, მაგრამ იქ ქართველების, ინგილოების უფლებები იყოს დაცული. თავის დროზე, კომუნისტების დროს ნამყოფი ვარ საინგილოში, მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია ჩავედით და საშინელება ვნახეთ, საინგილოს სკოლებისთვის აქედან წაღებული ქართული სახელმძღვანელოები გზაში ჩამოგვართვა აზერბაიჯანის გაიმ. ქართველები ტიროდნენ. ახლა აზერბაიჯანში ჩაჰყავთ სკოლადამთავრებულები და უფასოდ იღებენ უმაღლეს სასწავლებლებში. მაშინ, როცა კომუნისტების დროს ჩამოვიყვანეთ 15 ინგილო ახალგაზრდა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა ყველანი ჩაჭრა. ასე რომ, ჩვენი ბრალიც არის. დღეს აბა, ჩამოიყვანონ ინგილოები და უთხრან, უფასოდ გასწავლითო, მთელი საინგილო აქ ჩამოვა სასწავლებლად, მაგრამ არა, აქ თუ ჩამოვლენ, დედას უტირებენ, შეიძლება, ისიც უთხრან, უცხო ქვეყნის მოქალაქე ხართ და ხუთჯერ მეტი უნდა გადაიხადოთო.

**— სხვათა შორის, 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთმა ოფიციალურად აღიარა ზაქათალას ოლქი საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა.**

— გეთანხმებით, ორჯონიკიძესთან რომ მივიდა ქართველ მწერალთა დელეგაცია, რომ აი, შენ ქართველი ხარ, საინგილო, ქართველებიაო და სხვა, ორჯონიკიძემ, რომელიც ხშირად იყენებდა სიტყვა „ბოშოს“, მათ უთხრა, „თქვენ ისევ ჭურში ზიხართ, ბოშო, რევოლუცია იწყება, მთელი მსოფლიო იქნება კომუნისტური, ერთი“, — რა მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯან-საქართველოს, ეს აღარ იქნებაო, იქნება ერთი საბჭოთა სოციალისტური მსოფლიო რესპუბლიკა. ლამის ხალხის მტრად გამოაცხადა ორჯონიკიძემ მასთან მისული ქართველი მწერლები. მე თვითონ მინახავს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები, არსებობს სტალინის მინაწერი ორჯონიკიძის ამ დადგენილებაზე, „კამსამოლსკაია პასპეშნოსწ ორჯონიკიძე“. თუმცა, ორჯონიკიძის კომკავშირულ სისულელეს მაშინ არ მიაქციეს ყურადღება და საინგილო აზერბაიჯანს დარჩა.

მაგრამ, ახლა, როდესაც აზერბაიჯანი ასეა დაინტერესებული ამ სამხედრო ხელშეკრულებით, დავით გარეჯი უნდა დაგვებრუნებინა. ამ დღეებში შეიძლებოდა ამ თემის გამოყენება, მაგრამ ვინმეს ჰკითხეს? ჯერ ერთი, ამ ხელშეკრულების დადება სარისკო პრობლემაა. იცით, დღეს რა ხდება ერევანში? ყველა გაზეთი გამოვიდა ანტიქართული მოწინავე სტატიით. სომხებს ეშინიათ ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების. სანამ ეს ხელშეკრულება დაიდებოდა, სამმა კორესპონდენტმა დამირეკა, მათ შორის, გაზეთ „ჟამანაკიდან“ და პირველი აზერბაიჯანული საინფორმაციო არხიდან. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გოგონამ ისიც მკითხა, ხვალ რომ ხელს აწერთ, თქვენ გინდათ, ერევანში ანტიქართული დემონსტრაციები და მიტინგები დაიწყოს? ჩვენს წინააღმდეგ შეეკარით აზერბაიჯანსა და თურქეთსო? სომხეთში ასეთი განწყობილებაა.

**— მაგრამ გეოპოლიტიკური სამკუთხედი მათაც აქვთ — რუსეთის, ირანისა და სომხეთის სახით.**

— კი, მაგრამ იქ, სადაც თურქეთი და აზერბაიჯანია, იქ უკვე მაგათ გონება უბნელდებათ. სომხები ამბობენ, ჩვენ მოსკოვთან ხელშეკრულება კი გვაქვს, რუსეთის სამხედრო ბაზა კი დგას ჩვენთან, მაგრამ ეს თავდაცვითია, ჩვენ არასდროს თქვენს წინააღმდეგ არაფერს გავაკეთებთ, მაგრამ აზერბაიჯანთან ხელშეკრულება სხვა რამეა. მით უმეტეს, დიდი ალბათობით, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ხვალ-ზეგ ომი იქნება, აზერბაიჯანი ამისთვის გამალებულად ემზადება, ნავთობის ფული აქვს, შეიარაღება უკვე აქვს და იქ დღედღეზე დგას ომის საკითხი. ამას ემატება თურქეთი და, როდესაც თურქეთი და აზერბაიჯანი საქართველოსთან ალიანსშია, აქ უკვე სომხეთი წონასწორობას და საღი აზრის უნარს კარგავს. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

**— ისევ საზღვრების თემას მივუბრუნდეთ. გასაბჭოების შემდეგ აზერბაიჯანს, განსხვავებით სომხეთისგან, დიდი ენთუზიაზმი არ გამოუჩენია სადავო ტერიტორიების შესაერთებლად და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სადავო საზღვრების მოსაწესრიგებლად.**

— 110 კილომეტრი საზღვარი სომხეთთან სადავოა, სადაც გაჭიანურებულია მოლაპარაკება. რუსეთთან მთელი საზღვარია სადავო, რადგან დაწყებული მოლაპარაკება 2008 წლის ომის შემდეგ შეწყდა. სადავოა საზღვაო საზღვარიც, 22 კილომეტრი და სახმელეთო 134 კილომეტრი, ერთი მეტრიც არ არის შეთანხმებული. მართალია, ჩვენ არავის ვედავებით და არავის არ ვთხოვთ ტერიტორიებს, მაგრამ დაუდგენელი საზღვარი ბრიუსელისთვის უკვე საფრთხეა და ამას გაურბიან.




**მანანა ნოზაძე**

**მსოფლიო ებრძვის ტუბერკულოზს. წამყვანი ქვეყნები ეხმარებიან განვითარების გზაზე მყოფთ. მათ შორისაა საქართველოც. ჩვენი ფთიზიატრების დაფინანსება ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს დაიწყო საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციებისგან გამოყოფილი თანხებით. აშენდა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ცენტრის რამდენიმე შენობა.** ევროსტანდარტების დონემდეა მიყვანილი აპარატურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მოხდა უცხოეთში აპრობირებული მედიკოსების მობილიზება. ჩვენს ქვეყანაში ამ უსაშინლესი სენის წინააღმდეგ ბრძოლის პატრონაჟი საქართველოს ყოფილმა პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა ითავა. მის კალთას შეფარებულმა ჩვენებურმა ექიმებმა ნელ-ნელა იწყეს საერთაშორისო დონორების მიერ ქართველი ხალხისთვის გამოყოფილი სერიოზული თანხების ხვრა. ფული „ტყდებოდა" მშენებლობებში, რემონტებში. განსაკუთრებით ძვირადღირებულ, ჩვენი მხარისათვის უფასოდ გადმოცემულ მედიკამენტებში. მაგრამ „პატრონს" ვერაფერს უბედავდნენ. ყველაფერი იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა, გენდირექტორის მოადგილე დაეკავებინა. იგი ავადმყოფთათვის განკუთვნილ მედიკამენტებს პირდაპირ კონტეინერებიდან გასცემდა წინასწარ შეთანხმებულ აფთიაქებზე, საიდანაც იმავე დაავადებულებზე მამასისხლად იყიდებოდა.

ამით არაფერი არ შეცვლილა. ჯანდაცვის სამინისტრო, არასამთავრობოები აივსო უკმაყოფილო პაციენტების განცხადებებით. კრიტიკული წერილები იბეჭდებოდა „ალიაში", „რეზონანსში". მაგრამ პირველი ლედის საპატრონაჟე სფერო ხელშეუხებელი რჩებოდა.

ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლამ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განხორციელებულმა დამაიმედებელმა ძვრებმა ვერაფერი დაატყო ტუბერკულოზის ეროვნულ ცენტრს. ნაცმოძრაობის დროს სანდრას პატრონაჟით შერჩეული მმართველი ელიტა კვლავ განაგებს სამკურნალოს. შესაძლოა პასუხისმგებლობის დაყენების შიშმა ისინი უფრო შეკრაო, აცხადებენ პრაქტიკოსი ექიმები. მათი გადმოცემით შემცირებულმა საერთაშორისო დაფინანსებამ, საავადმყოფოში განხორციელებული ახალი მენეჯმენტის პირობებში ძვირადღირებულ მედიკამენტებზე კონტროლის გამკაცრებამ „ნაცმოს" ნარჩენები ყველასა და ყველაფერი ახლის მიმართ უნდობლობით გამსჭვალა.

უკმაყოფილო პაციენტთა საჩივრების რაოდენობამ ზემდგომებში, უფლებადამცველებთან არა თუ იკლო, მოიმატა. ასეთ ვითარებაში სამინისტრო იძულებული გახდა, შეემოწმებინა ეროვნული ცენტრი. ოღონდ ჯერჯერობით მხოლოდ „ლაითად". მაგრამ ამგვარი მონიტორინგის შედეგების მიხედვითაც კი არაერთი ხელმძღვანელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა არა თუ შესაძლებელი, აუცილებელიცაა.

ჯანდაცვის სამინისტროს შემოწმების შედეგებით, რომელსაც ხელს აწერს სამინისტროს კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ხუციშვილი, ნათქვამია, რომ სამკურნალო დაწესებულებაში, გარდა ქირურგიული განყოფილების საოპერაციო ბლოკისა, სტერილიზაციის წესები ირღვევა ყველგან. არ ხდება მრავალჯერადი გამოყენების იარაღების, საგნების და მასალების სასტერილიზაციო დამუშავება, რეცხვა, დეზინფექცია. არსებულ სასტერილიზაციო დანადგარს არა აქვს თერმომეტრი, ვერ ხორციელდება ტემპერატურის კონტროლი. არ არსებობს სასტერილიზაციო დანადგარების აღრიცხვის ჟურნალი. ირღვევა სხვადასხვა კლასის ნარჩენების სეგრეგაციისა და შეგროვების წესი. კონტეინერები ნაგვის ნარჩენებითაა გადავსებული.

პრაქტიკოსი ექიმების განმარტებით, არასტერილური იარაღები ბომბია სამკურნალო დაწესებულებისათვის. მათი მეშვეობით ხდება დაავადებათა ურთიერთგაცვლა, ჯანმრთელის დასნებოვანება და ა. შ.

სამინისტროს ჩატარებული შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია დიდად არ ზრუნავს საკუთარი პაციენტების ყოფითი პირობების გაუმჯობესებისათვის. არ არსებობს ინტენსიური თერაპიის საწოლი. არა აქვთ პოსტოპერაციული პალატა, არ არსებობს იზოლირებული რეანიმაციული საწოლი ინფექციური პაციენტებისათვის. ყოველივე ეს ხელს უწყობს ახალ დაავადებათა გავრცელებას, ინფექციის გადადებას, თვლიან პროფესიონალი ფთიზიატრები.

შედეგები, რომლებიც კონტროლის დეპარტამენტმა დადო, აშკარად წარმოაჩენს იმ უსულგულო დამოკიდებულებას, რომელსაც იჩენს ადმინისტრაცია მოზარდი და მცირეწლოვანი დაავადებულების მიმართ. შენობა, სადაც განთავსებულია პედიატრიული განყოფილება, საჩქაროდ სარემონტოა. მოშლილია ინფრასტრუქტურა, კედლებზე და ჭერზე აყრილია ბათქაში. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდის პატარების პალატების სველი წესით დაგვა-დასუფთავებასა და დეზინფექციას. განყოფილებაში ბასრი ინსტრუმენტები, მათ შორის, ნემსები, არ გროვდება განცალკავებით. არ არსებობს სამედიცინო ნარჩენების დროებითი შენახვისათვის განკუთვნილი სათავსო და ა. შ. ტყუილად კი არ ამბობენ მცირეწლოვანი პაციენტების თავს მდგომი მშობლები — ისეთი სიტუაციაა, ტუბერკულოზი რომ არ გქონდეს, აქ შეიყრიო.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ დარღვევებისა, რაც მაკონტროლებლებმა „ხუდადოვზე" აღმოაჩინეს. ყოველივე ამის გამო კი მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელის დადება (ჯარიმის) მთლიანად სამედიცინო დაწესებულებისათვის და არაკონკრეტული პასუხისმგებელი პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, კონტროლის დეპარტამენტის მხრიდან, იურისტები ბავშვურ თამაშებად მიიჩნევენ.

## ის, რაც მაკონტროლებლებმა შეგნებულად „არ დაინახეს"

**სამინისტროს კონტროლის დეპარტამენტმა „ვერ შეამჩნია", რომ ცენტრის I თერაპიულ განყოფილებაში გახსნილია „ღია კარის" დღე, როდესაც ადგილობრივ და სხვა განყოფილების პაციენტებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ I თერაპიულში შესვლა-გამოსვლა.** იგივე ითქმის ქუჩიდან მოსულ მნახველებზე. დერეფნებში არ არის დამონტაჟებული ვიდეოთვალი, რის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა მძიმე ავადმყოფთა (რომელთაც უჭირთ გადაადგილება) მეთვალყურეობაც დერეფნებში სეირნობის დროს.

# ტუბერკულოზნარევი უსულგულობა, უვიცობა, არაპროფესიონალიზმი



პაციენტთა არაერთგზისი მოთხოვნა — დაემონტაჟებინათ ელექტროზარი თუნდაც მწოლიარე, მძიმე ავადმყოფთა პალატებში, განყოფილების უფროსის შორენა საბანაძის მიერ ყოველთვის ყურადღების მიღმა რჩებოდა. ამით გაჭირვების შემთხვევაში პაციენტი დაუკავშირდებოდა მორიგე ექთანს, სანიტარს. როგორც მეზობელი პალატების ბინადარნი ამბობენ, სწორედ კომუნიკაციის ამგვარი საშუალებების არარსებობის გამო I თერაპიულ განყოფილებაში ნოემბერსა და დეკემბერში ორი მძიმე ავადმყოფი გარდაიცვალა ისე, რომ მათი რეანიმაციულში გადაყვანა ვერ მოესწრო. საბანაძე კი ამბობს, ისინი მძიმე გვერდითი დაავადებებით გარდაიცვალნენო, მაგრამ ყველა შემთხვევაში აშკარა უყურადღებობა სახეზეა.

მაკონტროლებლებს ყურადღების მიღმა „დარჩათ პაციენტების ჯანდაცვის მინისტრის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში დაფიქსირებული ფაქტი იმის შესახებ, თუ როგორ მოუწყვეს მათ ტესტი „ამტანობაზე". როდესაც გასული წლის 30 დეკემბრიდან 6 იანვრამდე მთელ განყოფლებას გამოურთეს ცენტრალური გათბობა. 23-საათიან, უწყვეტ რეჟიმში ჩართეს პალატების ცივი ვენტილაციის სისტემა. ავადმყოფები მედდებისაგან დახმარებას ითხოვდნენ. ისინი კი განყოფილების უფროსის დანაბარებს ახმოვანებდნენ — დასვენების დღეებია და მე სამსახურში ვერ მოვალო. ამავე დროს უკრძალავდა პრობლემის თაობაზე ადმინისტრაციისთვის მიმართვას, ამგვარ პირობებში განყოფილებაში მწოლიარეთა უმეტესობა გაცივდა, მისცათ მაღალი სიცხეები. მორიგე ექთნები დამწევებს, არარსებობის გამო, ვერ იძლეოდნენ. არ იყო თერმომეტრები. სხვათა შორის მთელ ამ პროცესს მრავალი მკურნალი და პრაქტიკოსი ექიმი, ზოგიერთი საშუალო მედპერსონალის წარმომადგენელი აღიქვამს სამინისტროს მიერ დანიშნული ახალი მენეჯერისადმი საბოტაჟის მორიგ მცდელობად. რადგანაც ზაზა ავალიანმა საავადმყოფოში ყოველმხრივი კონტროლის გამკაცრება მოითხოვა. ნაციონალურმა გადმონაშთებმაც ბრჭყალები გამოაჩინეს.

განცხადებაში ასევე ნათქვამია გვერდითი მოვლენების (პირის ღებინების, კუჭ-ნაწლავისა და ა. შ.) საწინააღმდეგო პრეპარატების ტოტალურ დეფიციტზე, ესეც კონტროლის დეპარტამენტმა შემოწმებისას ყურადღების მიღმა დატოვა. იგივე პრობლემები ექმნებათ დედაქალაქის რაიონების ტუბდაწესებულებებსაც, რომლებიც აფთიაქიდან მარაგდებიან.

განცხადებაში ისიც არის ნათქვამი, რომ I თერაპიულში საერთოდ იგნორირებულია პაციენტთათვის სიცხის დღეში 2-ჯერ გაზომვის მოთხოვნა. პრაქტიკოსთა განმარტებით კი ტემპერატურა არის ავადმყოფის მდგომარეობის ამსახველი ინდიკატორი, აქედან გამომდინარე, არ არსებობს შესაბამისი ჟურნალიც. საბანაძის საგამგებლოში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები ირღვევა. განყოფილების დასუფთავება-დალაგების დროს ერთი ტილოთი ირეცხება განყოფილების დერეფნები, ავადმყოფთა პალატები, სველი წერტილები და რაც ყველაზე სახიფათოა, ერთი ტილო იმავე მანიპულაციებს ასრულებს, როგორც მინუსიანთა, ასევე პლიუსიანთა დანაყოფებში, რაც ბაქტერიების გადატანის საუკეთესო საშუალებაა.

კონტროლის დეპარტამენტი არ დაინტერესდა საბანაძისეული მკურნალობის მეთოდებზე გამოთქმული პრეტენზიებით. მისი არსია არა იმდენად ავადმყოფობის დამარცხება, არამედ პაციენტის რაც შეიძლება მალე გაწერა. ბაქტერიის მიძინებისთანავე პაციენტები ითხოვენ გაწერას (ძირითადად ახალგაზრდები), განყოფილების უფროსის მითითებით ამ კატეგორიის ხალხს არ უტარდება განმარტება, რომ პლიუსის მინუსად გარდაქმნა არ ნიშნავს სრულ გამოჯანმრთელებას. ეს მხოლდ საწყისი ეტაპია, რომელიც აუცილებლადაა გასამყარებელი სტაციონარის პირობებში. არადროული გაწერით პრაქტიკოსთა და მკურნალ ექიმთა განმარტებით ასეთ ვითარებაში ავადმყოფი სნეულების მატარებელი და ბაქტერიის შესაძლო გადამცემი ხდება გარშემომყოფთათვის. მას ისევ უწევს ცენტრში დაბრუნება. მასაც თერაპიულის უფროსი უმალვე აწვენს მისეული „მკურნალობის" მეთოდის გახმაურების შიშით. ამ დროს საშუალო და მძიმე ავადმყოფობის მატარებელნი თვეობით ელოდებიან სტაციონარში დაწვენის რიგს. პაციენტებში ის აზრიც მუსირებს, რომ „შორენა ექიმი" მათ არა მხოლოდ „ლამაზი თვალებისთვის" აწვენს სტაციონარში...

როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ხუციშვილის ხელმოწერილ დოკუმენტში აშკარად იგრძნობა საბანაძისათვის ყოველმხრივ ხელის დაფარების მცდელობა. თუმცა, მსგავსი რამ რაც მოხდა, განცხადების ნაწილის სრული იგნორირება იმ სამსახურიდან, რომლის უფროსის მოვალეობის შემსრულებლადაც ხუციშვილი გვევლინება, არ უნდა გაგვიკვირდეს, გვეუბნებიან ექსპერტები და განმარტავენ, რომ ჯანდაცვის კონტროლის იმჟამინდელი ხელმძღვანელი ბეჟანიშვილი შსს-მ იმ მომენტში დააკავა, როდესაც იგი ქრთამს — ორი ათასი დოლარს იღებდა იმის სანაცვლოდ, რომ სრულიად ჯანმრთელ მოქალაქეს შრომით უუნარობის ყალბ დოკუმენტს გადასცემდა. სატელეფონო საუბარში ხუციშვილმა აღნიშნა, რომ მას ხელთ არა აქვს ცენტრის I თერაპიული განყოფილების რეგულაციები. დოკუმენტის შემსრულებელმა შოთა მაღლაკელიძემ იქით დაგვამადლა თავი — ამხელა შრომა შევასრულეთ და რაღა თერაპიულ მონაცემებს გადაეკიდეთო.

არა მგონია ამ დანაშაულებრივი სამსახურებრივი გულგრილობის, ან უფრო უარესი — სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებისათვის ისინი სამსახურიდან გაანთავისუფლონ. მაგრამ რომც მოხდეს, ხუციშვილი და მაღლაკელიძე უმალ ოპოზიციას მიმართავენ დახმარებისათვის, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს საჩივრებით აავსებენ — გვიშველეთ, სამსახურიდან უკანონოდ გაგვათავისუფლეს, წლებია ამ საქმეს ვემსახურებით და გამოცდილება, პროფესიონალიზმი გვაკლიაო?

**ზაზა ბილიხოძე**

## კაკალ გულში

● **მიშას და მისი მომხრეების კიდევ ერთი დანაშაული: პირველივე დღეს ვახტანგა რჩეულიშვილი ბოლომდე რო არ გახეთქეს ცემით და ცოცხი არ გაუყარეს!**

● **მაგარი კაცია დავით თევზაძე! მოულოდნელი რაღაც თქვა აქუსთან, ვეფხისა და მოყმისა: ... თორემ რა გამოდის, — უკრაინაში წასული მებრძოლი გმირია და სირიაში წასული კრიმინალიო?!.**

● **წუხელ, გვიან ღამით, პატრულის უჩუმრად, სალუტების ისეთი ბათქა-ბუთქი ატყდა, რომ ცა განათდა, სახლები ზანზარებდა, ხოლო ოჯახის ელდანაცემი კატა, თავის გასამხნევებლად, მთელი ღამე შპალიერს ფხრეწდა. მე მიყვარს ჩემი ქალაქი და მიცავს ჩემი პოლიცია!**

### წერილოვანი თეზისები

● **სპეცრაზმის ყოფილ უფროსს კახა ნაკანს ვენები გადაუჭრია ... — ამიტომ უნდა ჩასვან კარცერში, როგორც სხვებს სვამდნენ თავის დაჭრის გამო!!! ადამიანები მერვეში ვენებსაც იჭრიდნენ, მუცლებს იფატრავდნენ, კისერს იგრეხდნენ, პირს და თვალებს იკერავდნენ, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევდა.... მე კაცი ვიცი, მუცელი რომ გადაიფატრა რამდენიმე ადგილზე, მერე მარილი ჩაიყარა და არავის ყური არ გაუპარტყუნებია.**

● **ინტერპოლმა ძებნა ადეიშვილის გარდა, სერგო ქავთარაძესაც მოუხსნა (ძველი ქალაქის განვითარების ფონდის ყოფილი თავმჯდომარე). აგერ ირაკლი ალასანიამ თქვა. „ნაციონალური მოძრაობის წევრები ქვეყნისთვის ღირებული ხალხიაო." მოკლედ, საქართველოს „მეგობრები" ნაცებს არჩევნებისთვის ამზადებენ...**

● **მარტო შერჩევით არ უნდა ხდებოდეს ტრაგედიების შეფასება მსოფლიოს ე.წ. ცივილიზებული სამყაროდან! ყველამ უნდა აღიმაღლოს ხმა და არა მარტო ხმა, თუ საჭიროა მახვილიც იმ საშინელების წინააღმდეგ, რასაც ის ავადმყოფი ვითომდა მუსლიმები სჩადიან! პირველ რიგში კი მუსლიმებმა უნდა აღიმაღლონ ხმა ამის წინააღმდეგ!!!**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

მთის კანონი ამოქმედდება

# ხელისუფლება მაღალმთიან რეგიონებს მიხედავს



**ხელისუფლებაში მოსვლიდან 30-ე თვის თავზე „ქართული ოცნება“ საპროგრამოდ დაპირებული მთის კანონის ამოქმედებას გეგმავს. „ოცნებაში“ აცხადებენ, რომ ამით პირნათელი იქნებიან მთას ჯერ კიდევ შემორჩენილი მცირეოდენი მოსახლეობის მიმართ.**

მაღალმთიანი რეგიონებისთვის სპეციალურად შემუშავებული ახალი კანონის ამოქმედება და დანამატების გაცემა ბიუჯეტს 50-60 მილიონი ლარი დაუჯდება. ხელისუფლებაში ეს ფული გადაყრილად არ ეჩვენებათ და ფიქრობენ, რომ ამით არა მარტო შეაჩერებენ მთიდან მიგრაციისა და ურბანიზაციის პროცესებს, არამედ ამან შეიძლება რამდენიმე წელიწადში მილიარდიანი ან კიდევ მეტი დამატებითი ღირებულების მოგება მოიტანოს.

კონკრეტულად, ხელისუფლება აპირებს, მთაში მცხოვრებ პენსიონრებს პენსიაზე 20%-ის ოდენობით დანამატი მისცეს, პედაგოგების დანამატი განისაზღვროს ხელფასებზე სახელფასო განაკვეთის 50%-ის ოდენობით, ექთნებმა დამატებით 120 ლარის კომპენსაცია მიიღონ, ხოლო ექიმებმა — 320-ლარიანი დანამატები, ყოველ ახალდაბადებულ ბავშვზე კი დაწესდეს ასლარიანი ყოველთვიური დახმარება. ეს ყველაფერი კეთდება დემოგრაფიული აღორძინების ფონდისა და პრემიერის ინიციატივით.

**„ნაცმოძრაობამ მაღალმთიან რეგიონებს შეღავათები მოუხსნა და გაუთანაბრა ვაკე-საბურთალოს. არადა, მთაში პირობები გაცილებით მკაცრია. სხვათა შორის, თურქეთის რესპუბლიკას შვიდწლიანი შეღავათები აქვს დაწესებული თავისი მთიანი რეგიონისთვის, ჩვენ კი წავედით ათწლიანი შეღავათის კურსით და აპრილში ამ დაპირებას შევასრულებთ. საგადასახადო შეღავათები ათი წლის განმავლობაში საწარმოების მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს, ხოლო მეწარმეები და ფიზიკური პირები საშემოსავლო გადასახადებისგან გათავისუფლდებიან“,** — აცხადებს უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი.

მთის კანონის დაჩქარებულად ამოქმედება, როგორც ჩანს, საქსტატის მონაცემებმაც განაპირობა. მდგომარეობის სირთულეზე მეტყველებს სულ ახლახან გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმად, 2014 წელს გურიაში, იმერეთში, მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში, ასევე, სამეგრელო-ზემო სვანეთში მოსახლეობის ბუნებრივი კლება დაფიქსირდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გასულ წელს ამ რაიონებში უფრო მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. პროცენტულად ყველაზე რთული ვითარება ამ მხრივ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია, აქ 778 ადამიანი გარდაიცვალა და მხოლოდ 379 დაიბადა.

ამავე სტატისტიკური მონაცემებით, ყველაზე კარგი მდგომარეობა ბუნებრივ მატებასთან დაკავშირებით დედაქალაქშია. გასულ წელს თბილისში 11 548 ადამიანით მეტი დაიბადა, ვიდრე გარდაიცვალა.

დემოგრაფი ანზორ თოთაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ 60 მილიონი ლარი, რა თქმა უნდა, არ ეყოფა მთის აღორძინებას. უფრო მეტიც, მთაში ხალხი ისეთ რთულ პირობებში ცხოვრობს, რომ მათ 1 მილიარდიც არ ეყოფათ, მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რა მდგომარეობაშია ბიუჯეტი. ფაქტობრივად, ბიუჯეტი შეჭმული იყო და უზარმაზარი საგარეო ვალები აგვკიდა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელსაც საერთოდ არაფერი გაუკეთებია მთიანი რეგიონებისთვის.

**„უკანასკნელი 42 წელია, რაჭა-ლეჩხუმში მოსახლეობის ბუნებრივი მატება არ ყოფილა და ამ რეგიონში ყოველწლიურად საშუალოდ 355 კაცით მეტი კაცი იღუპება, ვიდრე იბადება. ასე რომ, რაჭის რთული დემოგრაფიული მდგომარეობა ახალი არ არის. მთას დანამატები სჭირდება, რომ იქ მოსახლეობა დარჩეს და არ დაიცალოს ჩვენი ისტორიული კუთხეები. ამიტომ რაც ახლა კეთდება რაჭის და სხვა მთიანი რეგიონების აღორძინებისთვის, წინგადადგმული ნაბიჯია. გარდა ამისა, რაჭაში თუ დაიბადება მესამე და შემდგომი ბავშვი, ყოველთვიურად აძლევენ 200 ლარს. ზოგადად, 2000-2009 წლებში ბუნებრივი მატება მთელ საქართველოში შეადგენდა 53 ათას კაცს, მაშინ, როცა 80-იან წლებში შეადგენდა 450 ათას კაცს, ე.ი. ათჯერ შემცირდა. ბუნებრივი მატებიდან 29 ათასი მოდის თბილისზე. რაც შეეხება კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, სამეგრელოს, იმერეთსა და გურიას, აქ იყო ბუნებრივი კლება მთელი წლების განმავლობაში. სამაგიეროდ, ბუნებრივი მატება იყო ძირითადად აჭარაში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში და დედაქალაქში, სადაც ისედაც ბევრი ცხოვრობს და, ბუნებრივია, ნამატი იქნებოდა.**

**თბილისის გარდა, მაღალია შობადობა ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში. ამ ქალაქებზე ბუნებრივი მატების მარტო 75% მოდის და ამ ქალაქებში ეკონომიკის სხვადასხვა დარგი მუშაობს. აქ მაინც მოქმედებენ ბანკები, სავაჭრო და სამრეწველო საწარმოები. აქ ეკონომიკა მაინც სუნთქავს“,** — აცხადებს ანზორ თოთაძე.

მისი თქმით, სოფლად თითქმის აღარ იბადებიან ბავშვები. მაგალითად, კახეთში 80-იან წლებში სოფლად 60 ათასი ბავშვი იბადებოდა ათი წლის განმავლობაში, ხოლო ახლა ბოლო ათ წელიწადში იბადება 20 ათასი ბავშვი და ისიც იბადება იმ რაიონებში, სადაც უფრო მაჰმადიანური აღმსარებლობის მოსახლეობაა.

**შეგახსენებთ, საქართველოს მთა საქართველოს ტერიტორიის 2/3-ია და მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 10% ცხოვრობს ჩვენს მთიან რეგიონებში. სამხრეთ კავკასიის ფერდობი კი დაცლის პირასაა.**

**მანანა ნოზაძე**

ალიან-ჩალიანი

## მახათას მთაზე 10 000 ზეთისხილის ნერგი დაირგვება

**მახათას მთაზე, მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ზეთისხილის ბაღი გაშენდება.**

**ნერგების დარგვის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია. სანერგე ორმოების ამოღების პროცესს თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი ბიძინა გიორგობიანი დაესწრო.**



**ბიძინა გიორგობიანის განცხადებით, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე 10 000 ძირი ზეთისხილი დაირგვება. ნერგების დარგვის ინიციატივა თბილისის მერიას, ფონდ „ივერიისას“ და საპატრიარქოს ეკუთვნის. ზეთისხილის ნერგების დარგვის პროცესი ერთ კვირაში დაიწყება და მაისის ბოლოს დასრულდება.**

**ინტერპრესი**

ახალგაზრდა შემოქმედი

# ასეთები სჭირდება საქართველოს



**1987 წლის 10 სექტემბერს მარგველაშვილების მუსიკალურ ოჯახში, სადაც ოთხი გოგონა იზრდებოდა, ნანატრი ვაჟი — გიორგი მარგველაშვილი დაიბადა. ჯერ კიდევ სამიოთხი წლის გიორგი ზეპირად კითხულობდა „ვეფხისტყაოსნიდან“ მისთვის საყვარელ სტრიქონებს. საკონცერტო დარბაზებიდან ბავშვთა ანსამბლ „აი იას“ სოლისტ გიორგი მარგველაშვილის შესრულებით მსმენელს აღაფრთოვანებდა ნეაპოლიტანური სიმღერა „დაბრუნდი სორენტოში“...**

საოცარი მუსიკალური მონაცემების მქონე გიორგის თვალწინ ფართო ასპარეზი გადაიშალა. მან 1999-2013 წლებში წარმატებით დაამთავრა საქართველოს სამხატვრო ათწლედი (ფერწერა), თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა-ათწლედი (ვოკალური, თეორიული და საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტები), თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო ტექნიკუმი (საფორტეპიანო განყოფილება), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური გუნდის დირიჟორ-ბაკალავრიატი და მაგისტრატურა.

ვათვალიერებ ფოტოებს საოჯახო ალბომიდან, ჟურნალ-გაზეთებს, მის აქტივშია მრავალი ჯილდო, მედალი თუ სიგელი.

და აი, ერთ დღესაც, იტალიის მიერ საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის დაწესებული სტიპენდიის „Premio Roma“-ს მოსაპოვებლად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში კანდიდატთა მოსმენა და გასაუბრება გაიმართა, სადაც სპეციალურმა კომისიამ იტალიის საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად სამი გამარჯვებული, მათ შორის, გიორგი მარგველაშვილი გამოავლინა. მნიშვნელოვანი სიახლე იყო ამ კონკურსისათვის ის, რომ 2011 წელს პირველად შეიყვანეს პროგრამაში ორკესტრის დირიჟორები, რომლის გამარჯვებულიც გახდა გიორგი მარგველაშვილი. მას მოყვა გიორგის სამთვიანი სტაჟირება იტალიაში, რომის „სანტა ჩეჩილიას“ სახელობის კონსერვატორიაში.

მოპოვებული წარმატება გიორგისათვის დიდი სტიმული აღმოჩნდა. მან შესანიშნავად უდირიჟორა ისეთ სახელგანთქმულ სიმფონიურ ორკესტრებს, როგორებიცაა საქართველოს ევგენი მიქელაძის სახ. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი რევაზ ტაკიძე), თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი (დირიჟორი გიორგი ჟორდანია), რომის „სანტა ჩიჩელიას“ კონსერვატორიის ორკესტრი (დირიჟორი დარიო ლუკანტონი).

გიორგი მარგველაშვილის ნიჭით აღფრთოვანებულმა დირიჟორმა დარიო ლუკანტონიმ „თვალსაჩინო ტალანტად“ აღიარა „პრემია რომას“ სტიპენდიატი ახალგაზრდა ქართველი დირიჟორი.

2008 წელს პირველად საქართველოში გიორგი მარგველაშვილმა გარშემოიკრიბა ენთუზიასტი ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოს-შემსრულებლები (ორმოცდაოთხი სტუდენტი) და ჩამოაყალიბა „ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი“, რომლის დებიუტის დროსაც ფეხზე წამომდგარი პუბლიკა ხანგრძლივი ოვაციებით ითხოვდა ნაწარმოების გამეორებას.

წარმატებული გამოსვლების კვალობაზე ორკესტრი მიიწვიეს ფილმებში: „ვარდისფერი ჭუჭყი“, „წამის სიზმარი“ (რეჟისორი ვასილ ჯანგებაშვილი), „მიდი, ძმაო, მიდი!“ (რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი). როგორც საუკეთესო სტუდენტი დირიჟორი, გიორგი მარგველაშვილი მიიწვია ტელეკომპანია „იმედმა“ გადაცემაში „ინტუიცია“.

მუსიკალური სამყაროს ისტორიაში სამუდამოდ აღიბეჭდა კონცერტი, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან 36-ე წლისთავს. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოიწონა „ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის“ პროფესიონალური დონე, დალოცა ორკესტრის თითოეული წევრი და მისი ახალგაზრდა დირიჟორი გიორგი მარგველაშვილი.

გიორგი მარგველაშვილი 2011 წლის ნოემბრიდან 2013 წლის მარტამდე შემოქმედებითად იღვწოდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, სადაც მან დააარსა უნივერსიტეტის აკადემიური გუნდი, დირიჟორობდა და წარმატებით ხელმძღვანელობდა მას, ასწავლიდა ხალხურ და კლასიკურ ნაწარმოებებს, გალობას და სოლფეჯიოს.

სახელოვანი ქართველი დირიჟორები რევაზ ტაკიძე, შავლეგ შილაკაძე, ვახტანგ კახიძე, გოგი ჭიჭინაძე, ნიკოლოზ რაჭველი, შალვა მოსიძე, ლია ჭონიშვილი ერთხმად აღიარებენ გიორგი მარგველაშვილის ნიჭიერებას, შრომისმოყვარეობას და იმედს გამოთქვამენ, რომ გიორგის სახით საქართველო (და არა მარტო საქართველო) შეიძენს ღირსეულ დირიჟორს.

ასეთები სჭირდება დღეს საქართველოს, ვუსურვოთ გიორგის შემოქმედებითი წინსვლა.

**გიორგი ხუნდაძე,**
**„ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის“ ორგანიზატორი.**

**სურათზე: ახალგაზრდა დირიჟორი გიორგი მარგველაშვილი.**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური დანართი №236

# „რასაც შენში აცოცხლებ, არასოდეს დაიღუპება“...

## ლევილი, შატუ, გენერალ კვინიტაძის ქალიშვილთან

„1922 წლის იანვარში დავსახლდი შატუში. იძულებული გავხდი „პატეს“ ქარხანაში დამეწყო მუშაობა უბრალო მუშად. 1924 წლიდან დავიწყე მაწვნის წარმოება, რასაც ვაგრძელებ ამ დრომდე“... – ამას წერდა დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ჯარების უკანასკნელი მთავარსარდალი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული არმიის ჩამოყალიბებაში და რომელიც იუნკერთა სკოლაში ბრძოლის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს ასწავლიდა ახალგაზრდა ოფიცრებს.

1921 წელს, ბათუმი – კონსტანტინოპოლი – მარსელის ცნობილი მარშრუტით, გენერალმა **გიორგი კვინიტაძემ**, ოჯახთან ერთად სამშობლო დატოვა...

**„უკანასკნელი ბრძოლა“** – უწოდა გენერალმა მოგონებათა ერთ თავს, სადაც დამარცხების მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ნაწილობრივ არის გაშიფრული:

*„25 თებერვლამდე შევძელით თბილისის შენარჩუნება. 25 თებერვალს თბილისი ალყაში იყო. ჩვენ მოვახერხეთ თბილისის შენარჩუნება სამმაგად ჭარბი მტრის ძალების წინააღმდეგ... მოვახერხეთ მცხეთის მიმართულებით გაჭრა. თბილისიდან ბრძოლის დროს შევძელით ბოლშევიკებისთვის წაგვერთმია 4 ქვემეხი, 20-ზე მეტი ტყვიამფრქვევი და აგვეყვანა ათასამდე ტყვე.*

*მცხეთასთან დაიწყო უკან დახევა. ხაშურთან შევძელით შეტევაზე გადავსულიყავით. საღამოსთვის ბოლშევიკებმა უკვე მიატოვეს ზარბაზნები და დაიწყეს უკან დახევა. ამ დროს ჩვენმა სახალხო გვარდიამ მიატოვა პოზიციები და თვითნებურად სურამის უღელტეხილის მიღმა გადავიდა. უკან ვიხევდით... რიონის მარცხენა, გადაულახავ ნაპირზე გადავედით და გავმაგრდით. მე გავემგზავრე ბათუმში, რათა ეს ციხე-სიმაგრე დაცვისთვის მომემზადებინა. ეს იყო ჩემი უკანასკნელი ბურჯი. ამ დროს, ჩემს დაუკითხავად, საქართველოს მთავრობამ ბათუმში რუსული ჯარები შემოუშვა, თურქთა მიერ მოტყუებით დაპირებული დახმარების გამო...*

*მე შემოვიყვანე ფრონტიდან ბათუმში ერთი დივიზია და დავიკავეთ ბათუმის პორტები. ამ დროს კი მთავრობამ ზავი დადო ბოლშევიკებთან...“*

* * *

– მე ოთხი-ხუთი თვის ვიყავი, როცა ჩემმა ოჯახმა საქართველოდან კონსტანტინოპოლში წამიყვანა, – იგონებს გენერლის 95 წლის ქალიშვილი ქალბატონი ნანო კვინიტაძე, – ბათუმიდან კონსტანტინოპოლში, მერე მარსელში. მარსელი ეს არის ძალიან დიდი პორტი, ამ გზით მიდიოდა ქართული ემიგრაცია...

საქართველო ჩვენთვის ყველაფერი იყო და რაც დაგვემართებოდა უნდა მოთმინებით მიგვეღო. იმედი არასდროს გვტოვებდა: რაღაც მოხდებოდა, ვიღაც დაგვეხმარებოდა... უცხოელების იმედიც გვქონდა, თბილისში დარჩენილებისაც... მაგრამ თანდათან ცუდად მიდიოდა საქმე...

ჩვენ სულ შატუში ვცხოვრობდით. ეს პატარა კუნძულივით იყო. მამას უყვარდა სტუმრები. ასეთი იყო მამა – კაცი სახლისა. სულ ერთთავად, როცა სტუმრები მოდიოდნენ, სურათებს ვიღებდით. ყოველ კვირას მოდიოდნენ... სახლი ივსებოდა ქართველებით... ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თავისი შეფიცულებით, ყოველ კვირას ჩვენთან იყო. ძალიან ბევრი ქართველი, განსაკუთრებით არისტოკრატია, იღებდა მონაწილეობას ჩვენს საოჯახო წვეულებებში... მახსოვს, კვირა დღისთვის ლამაზ კაბას ვიცვამდი, სტუმრებს ლამაზად რომ დავხვედროდი...

ეს სტუმრიანობა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სევდიან თემაზე საუბრობდნენ, მაინც პატარა დღესასწაულებს ჰგავდა.

* * *

ქალბატონმა ნანომ, საოჯახო ფოტოებთან ერთად, ძველი დროისგან ფერშეცვლილი რვეულიც გვიჩვენა, ოჯახის სტუმრების ჩანაწერები. მათ შორის, ფელიქს ვარლამიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის და სხვათა ძვირფასი ავტოგრაფები... სევდის აღმძვრელი ტექსტებით...

* * *

„ბატონ გენერლის ოჯახის შინაარსი მისი ქართული მოქმედება არის, სიმბოლო გარეგნული სიმპათიისა.

მე, როგორც მხედარი და სიკვდილამდე მოსიყვარულე ჩემი მშობლიური ერის, ყოველთვის ვიქნები მღაღადებელი ბატონ გენერლის მოქმედების.

გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი შალიკაშვილი“.

* * *

„ჩვენ ქართველნი, გადმოხვეწილნი სამშობლოდან უცხო ქვეყანაში და მყოფნი გერმანიის არმიაში, ვესტუმრეთ ძველ საქართველოს – თავისუფალი საქართველოს წარმომადგენელს – ძვირფას გენერალ კვინიტაძეს თავის ძვირფას ოჯახში. ოჯახში, რომელიც წარმოადგენს ძველი საქართველოს ოჯახს. ჩვენ პირველად, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ვიხილეთ ქართველ ქალთა ტიპები, ძვირფასი გენერლისა და მისი ქალიშვილების სახით. ჩვენის მხრივ,



„აქ მამა 60 წლისაა, დედა – 55-ის“.



„მარცხნივ ჩემი გამზრდელია ბაბალე მრელაშვილი, რომელიც იქ, საფრანგეთში, ქართულს მასწავლიდა, აქეთ დედა და მამაა“.



სტუდია „ავტოგრაფი“ (ზვიად მიქელაძე და ნინო ხოფერია) ქალბატონ ნანო კვინიტაძესთან, შატოში.


ეს დედაა, მარიამ მაყაშვილი.“

დიდი მადლობა. მოგვაგონეთ ჩვენ დიდებული ქართული ოჯახი და საქართველო.

გისურვებთ ბატონო გენერალო, ჩვენ ყველანი ჩავსულიყავით საქართველოში და იქ კახური ღვინით გვედღეგრძელებინოს ერთი მეორე.

ყველა ქართველისთვის სამშობლო სულ სხვა რამეა... ჩვენ ყველა მოტრფიალენი ვართ სამშობლოსი.

ჩვენც პატარა ქართველნი ვართ,
საქართველოს ერის შვილნი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
გვირჩევნია იქ სიკვდილი...

ვანო ანტონის ძე ტურაშვილი, 1943 წელი, 31 ივლისი“.

* * *

„გაუმარჯოს ქართულ ოჯახს, მის ტრადიციას და მის სუფრას. გაუმარჯოს ქართულ ხმალს და ქართულ სახელს.

მიხეილ ჩუბინიძე“.

* * *

– დედა სულ უვლიდა მამას, არ გაცივდესო, – იგონებს ქალბატონი ნანო კვინიტაძე, – ფილტვების ანთების შიში ჰქონდა. მამას სუსტი ფილტვები ჰქონდა საერთოდ. როცა მე 10 წლის ვიყავი, მამა მართლაც ძალიან ავად გახდა, მაგრამ ის სულით ძლიერი იყო და რაღაცნაირად აჯობა ავადმყოფობას... იცოცხლა დიდი ხანი. დედა კი ადრე გარდაიცვალა... ცხოვრება არის ესე, ვერაფერს იზამ, რასაკვირველია...

მამა ოპტიმისტი იყო სჯეროდა, რომ საქართველოში დავბრუნდებოდით. ამაში ეჭვი არასდროს ეპარებოდა... „საქართველო იცოცხლებს, საქართველო გადარჩებაო“...

– გათავდა, ყველაფერი გათავდა, – იტყოდნენ ხოლმე, სასოწარკვეთილების ჟამს ჩვენთან მოსული სტუმრები. მამას ასეთი სკეპტიციზმი და უიმედობის გაგონებაც არ უნდოდა. როცა ამბობდა – „საქართველო გაიმარჯვებს“, ჩანდა, რომ ამის ნამდვილად სწამდა და სჯეროდა...

კი საქართველო ცოცხალია, მთავარია, რომ ცოცხალია... როგორმე უშველიან, ფეხზე დადგება...

მართალია ქალბატონი ნანო ამბობს, რომ ის ბუნებით ოპტიმისტი არ არის და უფრო ფილოსოფიურად უყურებს ცხოვრების რეალობას, მაგრამ თვლის, რომ, თუ შენთვის არსებობს რაღაც, ანუ საკუთარ თავში აცოცხლებ რაღაცას, ამ შემთხვევაში კი აცოცხლებ სამშობლოს, ის არასოდეს დაიღუპება.

**ნინო ხოფერია.**

(ფოტოები კვინიტაძეების სოჯახო ალბომიდან).

# „შუქიც, ფერიც და რაღაც მესამეც...“

**„B&W GALLERY“-ში ფოტოგრაფ გიორგი ჩხაიძის პერსონალური ფოტოგამოფენა გაიმართა.**

ფოტოგრაფმა საკუთარი კოლექციიდან 35 ფოტო შეარჩია და დამთვალიერებელს წარუდგინა. გიორგი ჩხაიძე: „15 წელია, ფოტოებს ვიღებ. სხვადასხვა განწყობით მაქვს ყველა ფოტო გადაღებული. პროფესიით ვარ კინორეჟისორი, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ არ არის აუცილებელი მაინცდამაინც კინოკამერა გეჭიროს ხელში – შეგიძლია, ერთი კადრით აჩვენო შენი სათქმელი, უდიდესი ემოცია“.

**მერაბ კოკოჩაშვილი**, რეჟისორი: „არაჩვეულებრივი გამოფენაა, აქ უმაღლესი ოსტატობა ჩანს თითოეულ დეტალში, აქ არის ფერის შეგრძნება, მოულოდნელი კომპოზიცია. ძალიან მახარებს, რომ დამახასიათებელი და თავისთავადი ფოტოგრაფი გაჩნდა ქართულ ფოტოხელოვნებაში. წარწერებიც კი, ხშირ შემთხვევაში ისეა მოფიქრებული, რომ განცვიფრებს. აქამდე ნანახი არ მქონდა გიორგის ნამუშევრები და შემიძლია, ვთქვა, რომ ძალიან დამახასიათებელი და თავისთავადი ოსტატი გაჩნდა ფოტოხელოვნებაში. მიხარია, რომ არსებობს ახალგაზრდა, რომელსაც სიხარულის მოტანა შეუძლია ადამიანებისთვის“.

**ნოდარ გურაბანიძე**, ხელოვნებათმცოდნე: გიორგის ფოტოები მრავალფეროვნებითა და განწყობილებითაა აღსავსე. ზოგიერთი კი ნამდვილი შედევრია და ფერწერის მაღალ ხელოვნებას უახლოვდება. გიორგის ხედვის არაჩვეულებრივი უნარი გააჩნია, გრძნობს საგნის მოცულობას, აქვს ატმოსფეროს გადმოცემის უნარი, რაც საკმაოდ რთული მისაღწევია ფოტოხელოვნებაში. ვულოცავ ქართველ საზოგადოებას ფაქტობრივად დიდი ნიჭისა და შესაძლებლობების მქონე შემოქმედი ადამიანის გამოჩენას.

**გოგა ჩანადირი**, ფოტოხელოვანი: ფოტოგრაფია, ეს არის ორი რამ. ეს არის შუქწერა და ეს არის ფერწერა. გიორგიმ შუქიც კარგად გამოიყენა და ფერიც. რაც მთავარია, მესამეც მიუმატა, რამაც მე ძალიან მომხიბლა – ესაა სათაურები. „დიდი ქალაქის ყალიონი“ – რა ლამაზი სახელია. სინამდვილეში კი რა პროზაული მოვლენაა. მე, როგორც ბუნების ერთ-ერთ აქტიურ დამცველს, შეიძლება, ვერც დამენახა ეს პოეზია და მეთქვა: რა ცუდია ეს გამონაბოლქვი, კვამლი... გულწრფელად ვულოცავ გიორგის ამ გამოფენას!..

გალერეა, რომელიც გოგებაშვილის ქუჩაზეა და რომელმაც გიორგი ჩხაიძის გამოფენას უმასპინძლა, გამოირჩევა განსაკუთრებულად სადა და დახვეწილი დიზაინით, კეთილგანწყობილი პერსონალით... აქვთ უამრავი საინტერესო პროექტი და გეგმა, სიამოვნებით მასპინძლობენ ნამდვილ ხელოვნებას, და, რაც მთავარია, მათაც კი, ვინც მიზეზთა გამო ჩრდილში დგას და არა აქვს უნარი და არც სურვილი საკუთარი თავის რეკლამირების...


კიბეზე


ბოლო იმედი


სტუმარი


მფარველი


პორტრეტი


სადარაჯოზე


გამოფენა

ჩანართზე მუშაობდნენ
ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილის ქვეყანა

**უკრაინა მიდის მტკიცედ „გვიანდელი სააკაშვილის“ გზით, როდესაც უკვე დამთავრდა ყოველივე კარგი — ფული, ინფრასტრუქტურული პროექტი, პოლიციის რეფორმა, ტოტალიტარული ბნელეთის მოციქულობა: ბრძოლა საბჭოთა სიმბოლიკასთან, ბრძოლა პოლიტიკურ მტრებთან, მცდელობა „დიქტატორული დემოკრატიის“ დამყარებისათვის კონსტიტუციის ცვლილებების მეშვეობით. ბოლოს და ბოლოს, ეს დამთავრდა იმით, რითაც დამთავრდა: მიხო კიევშია, მისი მოწინააღმდეგეები — საქართველოს ხელისუფლებაში. ქვეყანა, რომელიც ასე ამაყობდა თავისი მიღწევებით, ცხოვრობს მოგონებებით უკვე ყოფილი კეთილდღეობის მოკლე პერიოდზე...**

„ვარდების რევოლუცია“ და „ნარინჯოვანი რევოლუცია“ მოხდა ერთი წლის სხვაობით და ამერიკის შეერთებული შტატების აღფრთოვანებული მხარდაჭერით. ეს იყო ერთადერთი რამ, რაც მათ აერთიანებდათ, გარდა მიზნის მიღწევის სტრატეგიისა.

უკრაინამ გადაიტანა ეკონომიკური აღმავლობა და საპრივატიზაციო ბუმი. მეტალურგია გახდა ეგრეთ-



წოდებული უკრაინული ეკონომიკური სასწაულის ლოკომოტივი. 2003 წლის შედეგების მიხედვით ქვეყანაში დაფიქსირდა შინაგანი საერთო პროდუქციის სენსაციური ზრდა — 9,3 პროცენტით, მაშინ, როდესაც ოპტიმისტური პროგნოზი 4,8 პროცენტს შეადგენდა. და სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდა თითქმის 16 პროცენტით. მომდევნო 2004 წელს შინაგანი მთლიანი პროდუქციის ზრდამ უჩვენა რეკორდი — 12 პროცენტი, რაც უმაღლესი შედეგია უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან.

ამ დროს საქართველო იმყოფებოდა იმ მდგომარეობაში, რომელიც შორეულად შეგვახსენებს დღევანდელ უკრაინას, მხოლოდ უფრო უარესად. ქვეყანამ 3 ომი გადაიტანა მრეწველობისა და ხელისუფლების ფორმალური სისტემის გარეშე. დედაქალაქის გათბობის გარეშე, ელექტროობა გრაფიკის მიხედვით და ხშირად უწყლობა სახლებში. ღარიბი და სახიფათო.

მასში აბსოლუტურად დაინგრა ინფრასტრუქტურა. ხალხს ეშინოდა ქუჩაში გამოსვლა კარგ ტანსაცმელში. სხვადასხვა მასტის მოყვარული ბატალიონები ეწეოდნენ რეკეტს და დაძრწოდნენ ქუჩებში იარაღით. ბატალიონების მეთაურები გრიალებდნენ რესტორნებში და აუპატიურებდნენ ქალებს. საგადასახადო სისტემა, როგორც ასეთი, არ არსებობდა: ყველა იხდიდა „სახურავებისათვის“ ან ჩინოვნიკებს სხვადასხვა დანაშაულებისთვის. ხანდაზმული შევარდნაძე ვერ უმკლავდებოდა საქმეს.

მაგრამ, შემდეგ საქართველოში უბრალოდ შემოვიდა ფული. სხვადასხვა დაანგარიშებით, დაახლოებით 5 მილიარდი დოლარი. თანაც 3 მილიარდი დოლარი უმალვე. ასეთი პატარა და ღარიბი ქვეყნისთვის, როგორიც იმ წლებში ამაყი საქართველო იყო, ეს იყო კოლოსალური ინვესტიციები. მაგალითად, თუ უკრაინაში ერთდროულად შემოიტანდნენ 50 მილიარდ დოლარს.

და როდესაც 2003 წლის ნოემბერში თბილისის ქუჩებში მრავალდღიანი პროტესტების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი თავის თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად შეიჭრა პარლამენტის შენობაში, მას წინააღმდეგობაც არ გაუწევია. წყნარად დატოვა პარლამენტის ტრიბუნა, საიდანაც სიტყვით გამოდიოდა. სააკაშვილი კი ავიდა ტრიბუნაზე და ერთბაშად დალია ჭიქა ჩაი, რომელიც მისმა წინამორბედმა დატოვა. სწორედ ეს ჩაი ითვლებოდა გამარჯვების გადაცემის სიმბოლოდ და არა ვარდები, რაზეც ამერიკელებმა იზრუნეს.

მაგრამ ასე დიდხანს არ ყოფილა. 2008 წელს ამერიკელებს გაუთავდათ ფული, სხვა ინვესტორებს კი — მოთმინება. ცხადი გახდა, რომ არანაირი ნათელი პერსპექტივა გარემონტებულ საქართველოს ეკონომიკას უკვე აღარ გააჩნდა. და მცირე მასშტაბის კაპიტალდაბანდებანი ისეთ ბრწყინვალე პროექტებში, როგორიცაა თოჯინასავით ლამაზი „სიყვარულის ქალაქი სიღნაღი“, ველარ ქმნიან საქართველოს მსოფლიო ტურისტულ მექად.

რუსეთთან წაგებული ომის შემდეგაც კი სააკაშვილის რეიტინგი სერიოზულად არ დაზარალებულა. სკეპტიციზმი გაიზარდა მოლოდინების, გაუმართლებელი რეფორმების ნიადაგზე. რასაკვირველია, კარგია, რომ არაა კორუფცია. თუმცა, გინდოდა ფულიც გამოგემუშავებინა, მაგრამ ბიზნესი არ იზრდება. მეტად სასიამოვნოა, რომ პოლიცია არის ზრდილობიანი და ბებიებიც გადაჰყავთ ქუჩებზე, მაგრამ დადის ხმები, რომ მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკურ ოპონენტებთან ღამით მიდიან სპეცსამსახურების წარმომადგენლები და მიჰყავთ ისინი დაკითხვებზე.

უნდა ითქვას, რომ ეგრეთ წოდებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ რეჟიმი კრიმინალებისადმი სააკაშვილმა შემოიღო ამერიკელების რჩევით, ერთდროულად იმ წესით, რომ არ გადაეკეტათ გზები თავიანთი კორტეჟებისათვის. და ხალხი ამას თავდაპირველად მხურვალედ მიესალმა. კანონიერ ქურდებსაც აპატიმრებდნენ, იმიტომ, რომ ისინი ქურდები არიან. პრეზიდენტის ესკორტს სიხარულით უქნევდნენ ხელს, მაგრამ ნდობის ეს კრედიტიც თანდათანობით ამოიწურა და, ამასთან ერთად, დაიწყო კონფლიქტები და რეპრესიები.

პირველმა ხელთათმანი მიხეილ სააკაშვილს გადაუგდო მისმა მახლობელმა პოლიტიკურმა პარტნიორმა, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა. 2007 წლის 27 სექტემბრის საღამოს ტელეარხ „იმედის“ ეთერში მან ბრალი დასდო პრეზიდენტ სააკაშვილს პოლიტიკური ოპონენტების მკვლელობის ორგანიზაციაში.

კერძოდ, ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ 2005 წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა უბრძანა მას მოეკლა გავლენიანი ქართველი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც ბორის ბერეზოვსკისთან იყო დაკავშირებული.

საქართველოს სამხედრო უწყების ყოფილმა ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ სააკაშვილის კიდევ ერთი თანამებრძოლის , ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას დაღუპვაც, რომელიც „თითქოსდა გაზით მოიწამლა“, ასევე „არ იყო შემთხვევითი“, სინამდვილეში იგი მოკლეს, მისი სხეული კი მიიტანეს „მოწამვლის“ ადგილზე მოგვიანებით. პრემიერის ქვრივმა მალე დაადასტურა ეს სიტყვები.

ხალხის ყოფილი საყვარელი ადამიანისადმი ანტიპათიის უკანასკნელი წვეთი გახდა სკანდალი საქართველოში პატიმართა წამების შესახებ, რამაც თბილისისა და სხვა ქალაქების ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოიყვანა. ფაქტობრივად, ეს იყო აისბერგის ხილული ნაწილი უკვე დიდხანს დაგროვილი უკმაყოფილებისა. და საქმე არა მხოლოდ დამცირებაშია პატიმრების მიმართ, არამედ იმაში, რომ წამებანი ვრცელდებოდა სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მტრებზეც. მათ ასრულებდა ჯალათების მთელი განყოფილება, რომელიც სააკაშვილისა და მისი მრჩევლების ბრძანებით შექმნა შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაჩო ახალაიამ. მრჩევლებისა, რომელთა ნაწილი ამჟამად უკრაინაში პასუხსაგებ პოსტებზე არიან.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ნაკლებადაა ცნობილი ხმები, რომ ერთ-ერთი მსხვერპლი გახდა ქართული დაზვერვის პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე. სამშობლოს ღალატში ბრალდებული ის მხეცური სექსუალური ზემოქმედების შედეგად გარდაიცვალა, მაგრამ არ აღიარა მის მიმართ ინკრიმინირებული მოქმედებები.

უკრაინის უმაღლესმა რადამ გასულ კვირას მიიღო კანონების პაკეტი, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოთა და ნაცისტური სიმბოლიკის გამოყენების აკრძალვას. საქართველოში ბრძოლა საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკისადმი დაიწყო ჯერ კიდევ 4 წლის წინათ, მაგრამ დღესაც ნამგალი და ურო, აგრეთვე საბჭოთა ეპოქის ლოზუნგები გვხვდება როგორც დედაქალაქში, ისე საქართველოს რეგიონებში. წარუმატებლობანი პოლიტიკურ ბრძოლაში და ეკონომიკის მკვეთრი ვარდნა როგორმე უნდა დაგეფარა და ხალხის ყურადღება გადაგეტანა სხვა რამეზე. და საქართველოს პარლამენტი აკეთებს იმას, რაც ამ ცოტა ხნის წინათ იმაზე მიზნით უმაღლესმა რადამ გააკეთა: 2011 წელს ის ღებულობს საპარლამენტო უმცირესობის მაშინდელი დეპუტატის გია თორთლაძის მიერ ინიციირებულ კანონს საბჭოთა და ფაშისტურ სიმბოლიკასთან ბრძოლის შესახებ. აგრეთვე აწარმოებს მთელ რიგ თანამდებობრივ შეზღუდვებს კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ, აგრეთვე მათ მიმართ, ვინც საიდუმლოდ თანამშრომლობდა საბჭოთა სპეცსამსახურებთან. ლუსტრაცია-კასტრაცია, ანტიკომუნისტური კანონი და სხვა მისთანანი.

ევროპაში ალაპარაკდნენ, რომ „სააკაშვილის რეჟიმი გადაიქცა ტოტალიტალურ დემოკრატიად, რომელშიც პიროვნული ერთმმართველობის უკან იმალებოდა პოლიციური სახელმწიფო“. ამერიკაში, უბრალოდ, გაწბილდნენ თავიანთ მიერ დაწინაურებულ პიროვნებაში, ვინაიდან მან ვერ შეასრულა მის წინაშე დაყენებული ამოცანა რუსეთთან ომის საკითხში და ყველაფერი უგუნურად წააგო.

**ეგორ სმირნოვი,**
**„ვერსიი“**

## დედამიწის ზურგზე




### მალაიზიის ბოინგის ჩამოვარდნის ადგილზე დონბასში ახალი ნარჩენები აღმოაჩინეს და სურთ ააგონ ძეგლი

**საერთაშორისო ექსპერტებმა, რომლებმაც ავარიის ადგილზე განაახლეს საძიებელი ოპერაცია, აღმოაჩინეს ადამიანის დამწვარი ცხედარი. ამას გარდა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადასცეს მათ იუველური სამკაულები, რომლებიც დაღუპულ მგზავრებს ეკუთვნოდათ. კატასტროფის ადგილზე ძეგლის დადგმის იდეით ნიდერლანდის ხელისუფლება გამოვიდა.**

### ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა არ დაუჯერა პუტინის სიტყვებს უკრაინაში რუსეთის ჯარების არარსებობის შესახებ



**„როგორც სახელმწიფო მდივანი კერი ბევრჯერ ამბობდა, ვერანაირი პროპაგანდა ვერ გადააქცევს სიცრუეს სიმართლედ. ვფიქრობ, ჩვენ აპრილის დასაწყისიდან ვიცით, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები კვლავ მოქმედებენ უკრაინის აღმოსავლეთში“, — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარი ჰარფმა.**

### უკრაინის ნიკოლაევსკის ოლქის ხელისუფლება რუსეთს „აგრესორად“ მიიჩნევს, ფრონტის ხაზზე კი ლუგანსკის ოლქში სიმაგრეების მშენებლობა დაიწყეს

**ნიკოლაევსკის საოლქო საბჭომ მხარი დაუჭირა უმაღლესი რადის გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის აგრესორ ქვეყნად აღიარების შესახებ. ამ იდეას ადრე უკვე შეუერთდნენ ვოლინსკის, ლუგანსკისა და პოლტავის საქალაქო საბჭოები.**

### ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ დაიმუქრა, მიიღოს საპასუხო ზომები, თუ რუსეთის ფედერაცია არ შეწყვეტს „სარაკეტო“ შეთანხმების დარღვევას

**„ჩვენი მიზანი არაა, რომ მოვახდინოთ რუსეთის დემონიზირება. ჩვენი მიზანია — შევინარჩუნოთ ხელშეკრულება, რომელსაც, როგორც მიგვაჩნია, მოაქვს დიდი სტრატეგიული სტაბილურობა მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში მისი ხელმოწერის დროიდან 1987 წლის დეკემბერში“, — განაცხადა სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ფრენკ როუზმა.**



# „განდის“ მშვიდობის ჯილდო წელს ფეთჰულაჰ გიულენს გადაეცა

**მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან მშვიდობის ჯილდოებს შორის ნაჩვენები „Gandi-King-Ikeda მშვიდობის ჯილდო“ წელს თურქ ფილოსოფოსსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს დიდ მეგობარს ფეთჰულაჰ გიულენს გადაეცა. ტრადიციული მშვიდობის ჯილდოს ცერემონია, ასობით მეცნიერი-აქტივისტის და საპატიო სტუმრების მონაწილეობით Morehouse უნივერსიტეტის მარტინ ლუთერ კინგის ცენტრში გაიმართა. ადრე მიხეილ გორბაჩოვის, ნელსონ მანდელასა და დესმონდ ტუტუს მიერ აღებული ჯილდო, წელს პირველად მუსლიმანს გადაეცა.**

აშშ-ის ქალაქ ატლანტაში დაჯილდოების ცერემონიაზე გამოსვლისას მარტინ ლუთერ კინგის ცენტრის დეკანმა, პროფ. ლოურენს ე. კარტერმა განაცხადა, რომ წელს პირველად მუსულმან სასულიერო პირს წლის მშვიდობის არქიტექტორის ჯილდო გადაეცა. „დღეს ეს ჯილდო ტრადიციული ისლამური სწავლების მსოფლიო მასშტაბით გამავრცელებლისთვის (2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმა ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრში Washington Post-ში გაკეთებული განცხადებით დაგმო ეს ტერაქტი) და გლობალური მშვიდობისთვის შეტანილი თავისი წვლილისთვის ამ ჯილდოს ფეთჰულაჰ გიულენისთვის გადაცემა ჩვენთვის დიდი პატივია“, — განაცხადა მან.

დეკანის გამოსვლის შემდეგ გიულენის სახელით ჯილდოს ასაღებად გამოსულმა დოქტ.ალფ იე. ასლანდოლანმა, ჯილდოს აღებასთან დაკავშირებით ფეთჰულაჰ გიულენის მიერ დაწერილი წერილი წაიკითხა. ფეთჰულაჰ გიულენის მიერ დაწერილი წერილი ასეთია: **„როგორც გავიგე Morehouse უნივერსიტეტის მარტინ ლუთერ კინგის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ დამსახურების გარეშე 2015 Gandi King Ikeda მშვიდობის ჯილდო მე მომანიჭეს.**



**ჯილდოს ჩემი სახელით არა, მაგრამ იმ ადამიანების სახელით, რომლებიც უანგაროდ კაცობრიობისა და ჰიზმეთისთვის თავდადებულად შრომობენ, ამ ხალხის სახელით ავიღებ. ამ ჯილდოს სინამდვილეში ისინი იმსახურებენ, ვინც ჩრდილოეთ პოლუსთან ახლოს მინუს 50 გრადუსამდე სიცივეში სახლიდან ათასობით მილის მოშორებით საკუთარ მოვალეობებს ასრულებენ — ჩრდილოეთ ერაყში ისის-ის თავდასხმების მიუხედავად, სკოლებში გაკვეთილებს ატარებენ, ნიგერიაში და ავღანეთში გოგო მოსწავლეებს განათლების მიღებისთვის შესაძლებლობის მიმცემი მასწავლებლები, სომალიში და სუდანში ყველაზე რთულ ვითარებაში მომუშავე ექიმები, ექთნები, ჰუმანიტარული დახმარების მუშაკები და ბიზნესმენები, რომლებიც რანაირ ფინანსურ სირთულესაც არ უნდა წააწყდნენ, სასარგებლო პროექტების განხორციელებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. სიმბოლურად ჩემთვის გადმოცემული ეს ჯილდო, სინამდვილეში სხვადასხვა ეროვნული, რელიგიური და ეთნიკური წარმომავლობის კეთილმოსურნე ადამიანების ძალისხმევა აღფრთოვანებას იმსახურებს.**

**ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე თქვენთან ერთად რომ ვიყო, ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობს. თუმცა, ადგილისა და დროის სხვაობა ასეთი ძვირფასი ადამიანური ღირებულებების გარშემო შეკრებილი სულების საუბარს ხელს ვერ შეუშლის. ამ ჯილდოსთვის კი როგორც ძალისხმევადაფასებული საზოგადოების ერთი წევრი, მინდა საორგანიზაციო კომიტეტს მადლობა გადავუხადო“.**

ფეთჰულაჰ გიულენის წერილის წაკითხვას ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოება ტაშით შეეგება.

Gandhi King Ikeda მშვიდობის ჯილდო, ყოველწლიურად მშვიდობისა და პოზიტიური სოციალური ცვლილებების მნიშვნელობის ახსნა-განმარტების მიზნით მრავალფეროვნებების გაერთიანებისთვის განსაკუთრებული ძალისხმევით გლობალური ლიდერობის წარმომჩენ სახელებს ენიჭება. ჯილდო სახელს მსოფლიო მშვიდობისთვის შეტანილი წვლილის გამო მაჰათმა განდის, მარტინ ლუთერ კინგისა და იაპონელი აქტივისტის დაისაკუ ლკედასგან ღებულობს.

ცერემონიის შემდეგ, უნივერსიტეტის მიერ ფეთჰულაჰ გიულენის სახელზე შეკვეთილი ზეთით დახატული ფერწერული პორტრეტი პოდიუმზე ამოიტანეს და იმ ნაწილში ჩამოკიდეს, სადაც ადრე ამ ჯილდოს მფლობელების სურათები იყო.

## ყველაფერი — ყველაფერზე



### საიდან გაჩნდნენ ამერიკაში.. აფრიკელი მაიმუნები?

**მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარის ამაზონის პერუს ნაწილში, ამერიკელმა პალეონტოლოგებმა სამი პრიმატის გაქვავებული ნეშტი ნახეს და სენსაციური დასკვნა გამოიტანეს. მეცნიერთა ვარაუდით, ისტორიამდელი მაიმუნები სამხრეთ აფრიკაში... ტივებით ჩავიდნენ!**

პალეონტოლოგთა ნაპოვნის თარიღია 36 მილიონი წელი. ოდესღაც, სამხრეთ ამერიკა იზოლირებული კონტინენტი იყო და ჩრდილოეთ ამერიკას „სულ ახლახან“, 3 მილიონი წლის წინათ შეუერთდა. ამის გათვალისწინებით მეცნიერები ჰიპოთეზას გამოთქვამენ, რომ **უძველესი მაიმუნები მაშინდელ სამხრეთ ამერიკაში აფრიკიდან, ატლანტიკის ოკეანის მორებით გადმოლახვით მოხვდნენ**.

აღსანიშნავია, რომ ეს ჰიპოთეზა მთლად ახალი არ არის, თუმცა კი ბევრი მკვლევარი მას, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით უყურებს — განა კი შესაძლებელია 3,5 ათასი კილომეტრის ოკეანის გადალახვა ხის მორით, თუნდაც ზურგის ქარისა და ხელშემწყობი დინების პირობებში? ამას ხომ, სულ მცირე, ორი თვე მაინც სჭირდება, ამ დროის განმავლობაში რაღაცის ჭამაა საჭირო, წყლის სმას თავი რომ დავანებოთ? 36 მილიონი წლის წინათ მაიმუნებს არც ზღვის წყლის გამტკნარებლები ჰქონდათ, არც თევზისგან მისი გამოწურვა შეეძლოთ. ჰოდა, მაშ როგორღა გადარჩნენ ისინი ასეთი მრავალკვირიანი მოგზაურობის დროს?

### წყალი, რომელმაც იმპერია მოსპო

**რომაელთა მონების მიერ აგებული წყალსადენების ამბავი ქვეყანამ იცის, თუმცა კი წყალმომარაგების ანალოგიური სისტემები ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის ინჟინრებს ჰქონდათ შემუშავებული. თანაც საინტერესო ის არის, რომ ელინელები წყალგაყვანილობის მილებს ლითონისგან ამზადებდნენ და ისინი მიწის ქვეშ გაჰყავდათ — თითქმის ისევე, როგორც ამას ახლა აკეთებენ.**

სიტყვა „თითქმის“ იმიტომ ვიხმარეთ, რომ იმხანებში სატუმბი სადგურები არ არსებობდა, წყალი მთებიდან ბარში თვითდინებით ჩამოდიოდა, თანაც ამ დროს ჭავლი საკმაოდ ძლიერი იყო (ზოგ შემთხვევაში 20 ატმოსფერომდე!), ამიტომაც წყლის დანაკარგიც დიდი იყო. სწორედ ამის გამო იყო, რომ რომაელებმა ვიადუკების მშენებლობა დაიწყეს — მართალია, ამან კაპიტალური ხარჯი გაზარდა, სამაგიეროდ, მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ფაქტობრივად, საჭირო აღარ იყო.

ასევე საგულისხმოა ისიც, რომ ძველი ბერძნებიც და რომაელებიც წყალგაყვანილობაში ასევე კერამიკულ მილებსაც იყენებდნენ: ისინი ერთმანეთს ვიწრო, უძირო ამფორების ფორმის რგოლებს აბამდნენ და, სა-



იმედოობისთვის, მეზობელ ნაწილებს ერთმანეთზე საგულდაგულოდ ამაგრებდნენ.

გარდა ამისა, რომაელები ტყვიის მილებსაც იყენებდნენ, თუმცა კი ასეთი სადენით გავლილი წყალი ამ მძიმე ლითონს დაუშვებლად მაღალი კონცენტრაციით შეიცავდა. ეს იმდენად სერიოზული საკითხია, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ სავალალო გარემოებამ, რასაც დროთა განმავლობაში ხალხის დიდი მასების დაავადება მოჰყვა, უდიდესი როლი შეასრულა რომის იმპერიის დაცემაში.

### ცეკვები ბებერი ცაცხვის ჩრდილქვეშ

**ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში, გერმანიის ტიურინგიის მხარის სოფელ ესფელდის მცხოვრებლებმა, ახალგაზრდების გულის გასახარებლად და ხანდაზმულთა ერთგვარი „სავარჯიშო მოედნის“ მოსაწყობად, დასახლების ცენტრში 300 წლის ცაცხვის ხის ქვეშ საცეკვაო მოედანი გამართეს.**

საიმისოდ, რომ ასაკოვანი ხის ფესვები ცეკვების დროს არ დაეზიანებინათ, ადგილობრივმა დურგლებმა საცეკვაო მოედანი მიწიდან სამი მეტრის სიმაღლეზე აწიეს და ჯებირიც შემოავლეს.

საცეკვაო მოედანი ესფელდში 1751 წლის ზაფხულის დღესასწაულზე გახსნეს. ბებერი ცაცხვიც თავს კარგად გრძნობს — ეს ხუთასი წლის ბებერი ხე 25 მეტრზე მაღალია და გერმანიის დაცულ პატრიარქ ხეთა ნუსხაში შედის.

### ისევ ისა სჯობს, რაც ბუნებამ გიბოძა

**იყო დრო, როცა ჰოლივუდელი კინოვარსკვლავი ქალის ერთ-ერთი, მთავარი თუ არა, ყოველ შემთხვევაში „აუცილებელი“ ატრიბუტი“ საშუალოს გვარიანად გადაცილებული მკერდი იყო. ბოლო დროს კი კინოს უგვირგვინო დედოფლები მიმზიდველობის ამ „სილიკონის ატრიბუტს“ მასობრივად იცილებენ. ამას კი იმით ამართლებენ, რომ უმჯობესია, „ცოტა გვქონდეს, მაგრამ ალალი“.**

ამასთან დაკავშირებით პლასტიკური ქირურგები აცხადებენ, რომ მკერდის მნიშვნელოვანი ზომით გადიდება სხეულის, სიარულის, ტანის დაყენებისა და ა. შ. დიდ ცვლილებებს იწვევს. როგორც ჩანს, ამჟამად იმ ქალბატონებმა, ვინც თავის დროზე მკერდი უსაშველოდ გაიდიდეს, უარყოფითი ზემოქმედება განიცადეს, ამიტომაც სილიკონური იმპლანტატების მოცილება გადაწყვიტეს.



ჭიდაობა

## რვა მედალი და გუნდური მესამე




**ბაქოში დამთავრდა აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის თასის გათამაშება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც თავი მოიყარეს საქართველოს, აზერბაიჯანის, ირანის, თურქეთის, უკრაინის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, სლოვაკეთის, უნგრეთის, ბელარუსისა და რუსეთის ჭაბუკთა გუნდებმა.** წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ფალავნებმა, რომლებმაც 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი მეფიშვილი (46) და დავით ბაკურაძე (63). ფინალური შეხვედრა დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა ვაჟა გოთუა (69), ხოლო რომან ლომინაძეს (54), ნოდარ შავაძეს (69), ბადრი ჯანელიძეს (76), რობინზონ ესაძესა (85) და საბა ცეცხლაძეს (100) ბრინჯაოს მედლები ერგოთ. დავით ბედინაძისა და ვაჟა კრავეიშვილის შეგირდებმა გუნდურ ჩათვლაში აზერბაიჯანისა და ირანის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავეს.

**გივი გაგუა**

მხატვრული ტანვარჯიში

## მსოფლიოს თასი მოილიეს და ევროპისთვის ემზადებიან




**საქართველოს ორი წარმომადგენელი (სალომე ფაჟავა — მწვრთნელები ელისო ბედოშვილი, ლალი დოლიძე და მსგავსი შეჯიბრებების დებიუტანტი სალომე ურუშაძე, მწვრთნელი ინგა კიკვაძე) მონაწილეობდა იტალიურ პიზაროში გამართულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო თასის გათამაშებაში.** საპრიზო ადგილებისთვის 39 ქვეყნის 60 სპორტსმენი იბრძოდა, მათ შორის, სპორტის ამ სახეობაში აღიარებული ლიდერები — იანა კუდრიავცევა, მარგარიტა მამუნი, ალექსანდრა სოლდატოვა (სამივე — რუსეთი), ჰანა რიზატდინოვა (უკრაინა), მელიტინა სტანიუტა (ბელარუსი), მარინა დურუნდა (აზერბაიჯანი) და სხვები. მათთან პაექრობაში ფაჟავამ მრავალჭიდში 69.500 ქულით მერვე ადგილი დაიკავა, ბურთითა (17.200) და გურზებით (17.000) კი მეშვიდე ადგილებს დასჯერდა. პირველი-მესამე ადგილები რუსებს ერგოთ. სალომე ურუშაძე პირველ ოცეულში ვერ მოხვდა.

საქართველოს სამი მხატვრული ტანმოვარჯიშე 1-3 მაისს მინსკში ევროპის ჩემპიონატზე გამოვა.

**ნანა ლომიძე**

**სურათზე: სალომე ფაჟავა ბურთით ასპარეზობისას.**

კალათბურთი

## მადრიდისკენ – პერი, პერი!

**როგორც მოგეხსენებათ, საკალათბურთო ევროლიგის წლევანდელ ოთხთა ფინალს მაისში ესპანეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მადრიდისკენ გასამგზავრებლად ბილეთების დასაჯავშნად ზრუნვა უკვე მართებთ ცსკას და „ფენერბახჩეს“, რომლებიც მეოთხეფინალურ სერიაში სამ მოგებამდე სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ და რჩეულთა კვარტეტში მოსახვედრად ერთი გამარჯვებაღა სჭირდებათ.**



**ცსკა — „პანათინაიკოსი“ — 100:80**

**(სერიის ანგარიში 2:0)**

მართალია, ამჯერად ტყორცნები არ წაუვიდა მასპინძელთა ძირითად გამთამაშებელ თეოდოშიჩს, მაგრამ არმიელთა სიძლიერე იმაშია, რომ სათადარიგოთა სრულფასოვანი სკამი მათ დანარჩენ ვარსკვლავებს რომელიმე პარტნიორის „ჩავარდნის“ დაძლევის საშუალებას უპრობლემოდ აძლევს.

ასე მოხდა მეორე შეხვედრაშიც, როცა ბერძნებმა ვერაფრით მოახერხეს ვიმსთან, დე კოლოსთან, კირილენკოსთან და მარკოიშვილთან (9 ქულა) ღირსეულად გამკლავება — 100:80, თანაც მოსკოველებმა ოთხივე პერიოდი თავის სასარგებლოდ დაასრულეს.

**სერიის მესამე და, ალბათ, უკანასკნელი მატჩი ხვალ ათენში გაიმართება.**

**„ფენერბახჩე“ — „მაკაბი“ 82:67**

**(სერიის ანგარიში 2:0)**

სავარაუდოდ, ევროლიგის მოქმედ ჩემპიონს ტიტულთან გამოთხოვება მოუწევს, რადგან ძნელი საფიქრებელია, რომ თურქულმა კლუბმა ასეთი მნიშვნელოვანი ფორა გაანიავოს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ბატუტზე ხტომა

## რეპეტიცია ეროვნულის წინ




**თბილისის მერიის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური ცენტრის დარბაზში დამთავრდა ბატუტზე მხტომელთა დედაქალაქის პირველობა, რომელშიც 80-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:**

სპორტის ოსტატის პროგრამით

**გოგონები.** 1 თეონა ჯანჯღავა (95,5), 2. ანა ოდიშვილი (92,3), 3. ქრისტინე სორდია (86,35). **ვაჟები.** 1. გიორგი ნაცვლიშვილი (86,59), 2. გიორგი ავლოხაშვილი (60,58), 3. ლაშა გაბაშვილი (53,95).

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით

**გოგონები.** 1. სოფიო დაშნიანი (85,04), 2. ნუცა ჭკუასელი (79,25), 3. მარიამ ეგაძე (78,11).

პირველი თანრიგის პროგრამით

**გოგონები.** 1 ანა აფაქიძე (78,85), 2. ლელა არდოტელი (78,02), 3. მარიამ ხელაძე (78,00). **ბიჭები.** 1. თამაზ ლომსაძე (74,84), 2. ნიკოლოზ შახბაზიანი (72,36), 3. ირაკლი ჩხაიძე (54,95).

ეს შეჯიბრება, ფაქტობრივად, ძალთა ერთგვარი შემოწმება იყო ეროვნული ჩემპიონატის წინ, რომელსაც აპრილის ბოლო დეკადაში მარნეული უმასპინძლებს.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: თეონა ჯანჯღავა ასპარეზობისას.**

ჭადრაკი

## ჩინეთი უმასპინძლებს

**ხვალ ჩინეთის პროვინციულ ქალაქ ჩენდუში დაიწყება მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი 10 ქვეყნის (უკრაინა, ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, საქართველო, პოლონეთი, ყაზახეთი, სომხეთი, აშშ, ეგვიპტე) დიდოსტატ მანდილოსანთა მონაწილეობით.** საქართველოს ნაკრები (დელეგაციის ხელმძღვანელი — ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე) ჩინეთში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია და მერი არაბიძე (კაპიტანი — დავით ჯოჯუა, მწვრთნელი ელიზბარ უბილავა).



**თამაზ პატარაია**

ფეხბურთი

## ტიტულის ზღურბლთან

**ევროპის ლიგას შემორჩენილი ერთადერთი ქართველი ლეგიონერის ჯაბა კანკავას უკრაინული კლუბი „დნიპრო“ ახლოსაა რანგით მეორე ევროტურნირის ნახევარფინალთან. „ჯვაროსანთა“ კაპიტნის გუნდმა ბელგიაში ფრედ — 0:0 დაასრულა პირველი მეოთხედფინალური რაუნდი „ბრიუგესთან“ და ერთ კვირაში მეტოქეს ფავორიტის სტატუსით დაუხვდება.**




ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ კიევის „დინამოს“ პრესტიჟულ კონტინენტურ შეჯიბრებებში ნახევარსაუკუნოვანი თამაშის განმავლობაში ერთი მატჩიც კი არ მოუგიათ (სამი ფრე, ხუთი დამარცხება). სერგეი რებროვის შეგირდებმა ნავსი ვერც ამჯერად გატეხეს, არადა, ლენსის გოლის შემდეგ ბოლო წამებამდე უგებდნენ ფლორენციის „ფიორენტინას“ და საპასუხო ბურთი ზედ საფინალო სასტვენის წინ გაუშვეს — 1:1.

დრამატულად განვითარდა მოვლენები ანდალუზიაში, სადაც „სევილია“ ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩაება ბრძოლაში „ზენიტთან“ და შესვენებამდე დაისაჯა კიდეც — 0:1 (რიაზანცევი). მას შემდეგ, რაც ესპანელთა თავკაცმა უნაი ემერიმ სარბიელზე თავისი გუნდის ლიდერები გამოიყვანა, მოქმედმა გვირგვინოსანმა ბაკას და სუარესის ძალისხმევით ტაიმბოლი გამოაცხო — 2:1.

უკვე შეგვიძლია მივულოცოთ ნახევარფინალისტობა „ნაპოლის“, რომელმაც გერმანიაში „ვოლფსბურგი“ დაიბრიყვა — 4:1 (იგუაინი, ჰამსიკი — 2, გაბიდიანი; ბენდტნერი).

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## რუმინელი მოდელი რობენზე გიჟდება

**ლამაზი, თვალში მოსასვლელი და ხელიხელსაგოგმანები რუმინელი მოდელი კატრინელ მენგია, მიუნჰენის „ბაიერნის“ ნიდერლანდელ ფეხბურთელზე, არიენ რობენზეა შეყვარებული და მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი აგერ 10 წელია, ცოლიანი კაცია, კატრინელს ეს ფაქტი არაფრად უღირს.**



ვლახთა მიწაზე შობილი და აღზრდილი კატრინელ მენგია ორჯერ უკვე იყო გათხოვილი, მაგრამ მთელი ძალ-ღონით ირწმუნება, რომ მას ჭეშმარიტი მამაკაცის გემო ჯერ კიდევ არ უგემია და დარწმუნებული გახლავთ, რომ სწორედ რობენია ის მამაკაცი, რომელსაც აქამდე გულის ფანცქალით ელოდა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სხვა მრავალი ფეხბურთელისგან განსხვავებით, არიენ რობენი ნამდვილად არ ჩაითვლება მექალთანედ, ქალთა მუსუს კაცად. ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ჩვენს კატრინელს კოვზი ნაცარში ჩაუვარდეს, მაგრამ, მოდით, ჯერ ნუ გადავუწურავთ იმედებს. ვინ იცის, იქნებ და...

**როსტომ რაჭველიშვილი**

### გზადაგზა ნაპოვნი სურათები

## ციცრის კვერცხის სიმაგრე

**ეტყობა, გაკვეთილები დამთავრდა, ბავშვები გამოეფინნენ სკოლიდან. ზედ რუსთაველზე, ასე ცხრა-ათი წლის ბიჭები ექაჩებიან ერთ ბიჭს აქეთ-იქიდან, ფეხსაც უქნევენ...**

გვერდით ჩავიარე.

— სამნი ერთს სცემთ, კაცო?! — მივუბრუნდი ბიჭებს.

— თქვენ რომ იცოდეთ, ბაბუ, ეგ რა ოხერია!..

— რა ქნა ასეთი?!

— აღდგომის კვერცხები დაგვიმტვრია სამივეს!.. ციცრის კვერცხი ჰქონია!.. არ ვიცოდით... გვიან გავიგეთ!..



— ეგ არაფერი, ბაბუ! მეგობრობაში მოდის!.. დაანებეთ თავი, არ ატკინოთ რამე! მრავალ აღდგომას დაესწარით!..

მგონი, დავაშოშმინე ბიჭები!..

მივდივარ ჩემს გზაზე და ზუსტად ასეთი, ბავშვობის დროინდელი ამბავი წამომიტივტივდა გონებაში.

...აღდგომა დილაა, სოფელში, ჩვენი უბნის ბიჭბუჭობა ბურთს ვთამაშობთ, ხანდახან კი შევჩერდებით და კვერცხებს ვუჭედებთ ერთმანეთს. ეს აჩიკო „რიჟა“ რას შვრება? ბიჭოს, ყველას როგორ უმტვრევს კვერცხს? მივარდა მურმანი: — აბა, ერთი, შენი კვერცხი გვაჩვენე „რიჟა“?!

მივირბინეთ ყველამ, გვაინტერესებს.

— ნახეთ ერთი, ნახეთ!.. ციცრის კვერცხით გვეჯიბრება თურმე! როგორ ვერ მივხვდით!..

წავუთაქეთ აქეთ-იქიდან აჩიკოს, ზლუქუნ-ზლუქუნით გაიქცა შინ „რიჟა“.

ნეტა იმ დროს!

## უკვე ევროპაში ვართ, ბებო!

**ყვითელი სამგზავრო ავტობუსი ნელ-ნელა იძვრის ადგილიდან. აქოშინებულმა მოირბინა მოხუცმა ქალმა, ყელგამოწვდილი, უსიტყვოდ ეხვეწება მძღოლს, იქნებ გამიღო კარიო...**

მძღოლმა წაუყრუა, დაძრა და წავიდა...

— ეგ დამპალი, ეგ! — ექომაგება მოხუცს გაჩერებასთან შუახნის მამაკაცი, — აბა, ერთი, ფულს იღებდეს, თუ არ გააღებდა!.. მგზავრები უკვე მაგათ აღარ ეკუთვნით, არც გვაქცევენ ყურადღებას, რამდენიმე წამს აყოვნებენ გაჩერებაზე ავტობუსს და ეგ არის სულ! მოკლედ, უკვე ევროპაში ვართ, ბებო!..

— ჩვენი დრო ჯობდა, შვილო!

## „შენ, საქართველოს გადამრჩენელო!..“

**ჩათესეს სიმინდი, გადაიწერეს პირჯვარი და სალობიედ დაკვალულ ნაკვეთს მიადგნენ. მზე ნელ-ნელა იწევს მაღლა და გულმკერდს უთბობს მთელი კვირის ნაწვიმარ მიწას.**

— ჯერ „ბათუმურა“ ჩავთესოთ და, თუ დარჩა ადგილი, მეორენაირსაც მივაყოლებ, — ამბობს ოჯახის დიასახლისი, რომელმაც ალიონზე წამოყარა ლოგინიდან ქმარ-შვილი და ახლა თავს დაჰფოფინებს აქაურობას.

— რად გვინდა, ბოშო, გაგვხეთქავს ამდენი ლობიო!.. — საყვედურობს ქმარი და თან ვაჟიშვილებს თვალს უკრავს, მხარი დამიჭირეთო.

— კი... თქვენ რა გენაღვლებათ, საჭმელს კარში შემოსვლისთანავე ითხოვთ... ეს უსაშველო ზამთარი ლობიომ გადაგვატანინა... მოდით, მოდით... ჩავთესოთ და მოვრჩეთ!

იცის კაცმა, ცამდე მართალი რომ არის დიასახლისი, ისიც იცის, ლობიო მარტო მის ოჯახს კი არა, მთელ საქართველოს ათქმევინებს სულს ამ გაჭირვების ჟამს. გაჭირვება კი (დღევანდელზე უარესი) ბევრჯერ ჰქონია ჩვენს ხალხს და ქვეყანას. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ასე გულმხურვალედ შეაქო ლობიო გიორგი ლეონიძემ: „შენ, საქართველოს გადამრჩენელოო!“

## გაზაფხული ავტობუსში

**ავტობუსი იგოეთთან ჩერდება. წინა კარიდან ქალ-ვაჟი ამოდის. „აბა, უკან, უკან ჩაიწიეთ!“ — ბრძანებს მძღოლი და ისინიც — აწითლებულნი, ჯინსებში კოხტად გამოკვართულნი — უხმოდ ემორჩილებიან ბრძანებას.** გოგონას მინდვრის ყვავილების ფერადი თაიგული მკერდში ჩაუხუტებია და ნებანება ყნოსავს, ახედავს ვაჟს, გაუღიმებს, სასოებით მიაყრდნობს მკერდზე თავს და ასე დგანან, გატრუნულნი. ვაჟი უკოცნის თმას, ღაწვებს — ვითომ მალულად, ვითომ დაფარულად — მაინც ყველა ხედავს. გაზაფხულის სურნელი დგას ავტობუსში, საცაა მცხეთაში შევალთ.

**ვილენ მარდალეიშვილი**

შვილი ლელა (ბაია), შვილიშვილები ნათია, სოფო ფავლენიშვილები ოჯახებით, რძალი დიანა ალანია, ძმისწულები თეა, ნანა დარსანიები, სიძეები ლევან კალანდარიშვილი, ლადო სამადაშვილი, შვილთაშვილები ალექსანდრე, ანასტასია, ნიკოლოზი, მულები ციალა, კლარა ტატაშიძეები ოჯახებით, ბიძაშვილები ლია, მიხეილ, ირაკლი ესაკიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**ლონდა დარსანია**

პანაშვიდი 19, 20 IV, გამოსვენება 21 IV, 14 სთ. ვაჟა-ფშაველას 50.

### ინფორმაცია

## თბილისში ახალი სასტუმრო აშენდება

**„ჯი-ემ-თი ჯგუფსა და „მარიოტს“ შორის ხელი მოეწერა სასტუმრო „მოქსის“ მართვის ხელშეკრულებას, რომელიც თბილისში, ზაარბრიუკენის მოედანზე ახალი პროექტის დაწყებას ითვალისწინებს.**

**როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „მარიოტის“ ბრენდმა უკვე მესამე სასტუმროს მშენებლობა დააანონსა. მისი თქმით, ეს იქნება ახალი ბრენდი, „მოქსის“ ბრენდი, რომელიც ქვებრენდია „მარიოტის“.**

**ეს იქნება 25 მილიონდოლარიანი ახალი ინვესტიცია. ამ სასტუმროს მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებს ასევე ამერიკის სამთავრობო სააგენტო „ოპიკი“, რაც კიდევ ერთხელ დასტურია საქართველოში ბიზნესის განვითარებისთვის ყველანაირად ხელსაყრელი გარემოს არსებობის.**

**სასტუმრო აშენდება მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ყოფილი ვორონცოვის, ამჟამად ზაარბრიუკენის მოედანზე და იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი, რომელიც კიდევ უფრო მეტ ტურისტს მოიზიდავს.**

**პროექტით გათვალისწინებულია 130-ნომრიანი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სასტუმროს აშენება. პროექტის მთლიანი ღირებულება 25 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.**

### განცხადება

1991 წლის 14 თებერვალს გარდაიცვალა სერგო ზაქარის ძე აკოფოვი, მისი სამკვიდრო საქმე გაიხსნა ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო ბიუროში, ვისაც პრეტენზია გაგაჩნიათ მის სამკვიდრო ქონებაზე, გთხოვთ 20 დღის ვადაში მიაკითხოთ ნოტარიუს ა. მანიას. მის: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია.

### სამშენებლო სექტორი

# „უძრავი ქონების ბაზარი მაისიდან გააქტიურდება“

**სამშენებლო სექტორი საქართველოში წლების განმავლობაში იზრდებოდა და ვითარდებოდა, თუმცა, 2008 წლის ომმა და კრიზისმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ბოლო ორი წლის განმავლობაში სამშენებლო სექტორმა კრიზისიდან გამოსვლა დაიწყო და მშენებლობებიც გააქტიურდა, თუმცა, ამას ლარი-დოლარის კურსის ცვლილება დაერთო, რამაც დოლარში დაგეგმილ ბიზნესს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.**

**რა პრობლემები აქვთ ამჟამად სამშენებლო კომპანიებს, როგორ იმოქმედა მათ საქმიანობაზე სავალუტო კრიზისმა და საგადასახადო შეღავათებმა, რომლებიც მთავრობამ დეველოპერებს დაუწესა? — ამ კითხვებით** bpn.ge-**მ დეველოპერული კომპანია „აქსისის“ ხელმძღვანელს გიორგი კაპანაძეს მიმართა.**

**— მთავრობამ გადაწყვიტა 2008 წლამდე დაწყებულ და დაუსრულებელ მშენებლობებს შეღავათი გაუწიოს: ასეთი მშენებლობები დღგ-ს გადასახადისა და K2-ის კოეფიციენტის მოსაკრებლის გადასახადისგან გაათავისუფლა. როგორ იმოქმედა ამ შეღავათმა თქვენი კომპანიის საქმიანობაზე?**

— ჩვენ ისედაც გადაწყვეტილი გვქონდა და გვაქვს ყველა ვალდებულება შევასრულოთ, რომელიც 2008 წლიდან მოგვყვება. ამ ვალდებულებების 90 პროცენტს წელს უკვე ვასრულებთ, თუმცა, დღგ-ს გადასახადზე დაწესებული შეღავათი მაინც დადებითი მოვლენაა. კანონი, რომელიც მიიღეს, ეხება მხოლოდ იმ მშენებლობებს, რომლებიც 2008 წლის აგვისტომდეა დაწყებული, ამიტომ, შეღავათი ჩვენს ზოგიერთ მშენებლობას შეეხო, ზოგიერთს კი — არა. ბუნებრივია, ეს შეღავათი შეეხო მხოლოდ იმ მშენებლობებს, რომლებიც 2008 წლის აგვისტომდე დავიწყეთ. უნდა ვაღიარო, რომ ეს სერიოზული მხარდაჭერაა ნებისმიერი სამშენებლო კომპანიისათვის, რადგან ყველა მშენებლობა, რომელიც დაიწყო 2008 წლის აგვისტომდე და 2017 წლის ბოლომდე ექსპლუატაციაში შევა, გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისაგან. როგორც ვიცი, ეს ყველა კომპანიას ეხება და გამონაკლისს არც „აქსისი“ წარმოადგენს, ეს ჩვენი კომპანიისთვისაც მნიშვნელოვანი შეღავათია.



**— ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ ყველას სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. როგორ იმოქმედა თქვენზე ქვეყანაში მიმდინარე სავალუტო კრიზისმა?**

— მე არ ვფიქრობ, რომ ეს კრიზისი იყო, ეს იყო მცირედი შოკი, რომელმაც უკვე გადაიარა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ როდესაც ბანკები კრედიტს აღარ გასცემენ, ეს ჩვენს ბიზნესზე უარყოფითად მოქმედებს. სწორედ ამიტომ, კლიენტების მოსაზიდად სხვადასხვა ხერხს მივმართეთ და ძალიან საინტერესო პროდუქტი მოვიგონეთ, მას 20/80 ჰქვია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს კლიენტებს შემოაქვთ ბინის ღირებულების მხოლოდ 20 პროცენტი, დარჩენილ თანხას კი, ეტაპობრივად იხდიან. როგორც აღმოჩნდა, ეს პროდუქტი ჩვენს კლიენტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამიტომაც დაიკლო გაყიდვებმა, რომელსაც ბანკები აფინანსებდნენ, მაგრამ ამ პროდუქტის შეძენის მსურველთა რაოდენობამ ერთიორად მოიმატა. ისე კი, თებერვალი და მარტი სამშენებლო სექტორისათვის ნაკლებად შემოსავლიანი თვეებია, ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ მაისიდან ბინების რეალიზაციაც მოიმატებს და გაყიდვების მაჩვენებელიც გაიზრდება. მით უმეტეს, რომ ლარი თანდათან სტაბილური ხდება.

**— ლარის დევალვაციამ სამშენებლო მასალები ხომ არ გააძვირა?**

— სამშენებლო მასალების დიდ ნაწილს დოლარში ვყიდულობთ, ამიტომ ლარის კურსს ამ მასალების ფასზე დიდად არ უმოქმედია. ყველაფერი გაძვირდა იმისთვის, ვისაც შემოსავალი ლარში აქვს, ჩვენ კი, შემოსავალიც დოლარში გვაქვს და მასალასაც უცხოური ვალუტით ვყიდულობთ. ასე რომ, ჩვენთვის აუცილებელი პროდუქცია არ გაძვირებულა. რაც შეეხება იპოთეკური სესხების მსურველთა რაოდენობას, ჯერჯერობით ბანკები თავს იკავებენ მასშტაბური იპოთეკური პროგრამებისგან, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ისინი უკვე ამუშავებენ ახალ პროგრამებს და მალე დაიწყებენ იპოთეკური სესხების გაცემას. ბანკის მთავარი შემოსავალი სწორედ იპოთეკურ სესხებშია, ამიტომ, არა მგონია, მათ დიდხანს შეაფერხონ ეს პროცესი.

**— როგორ შეაფასებდით სამშენებლო სექტორის მდგომარეობას დღეს, როცა ჩვენმა ქვეყანამ სერიოზული სავალუტო რყევები გამოიარა?**

— ამ სექტორის მდგომარეობის დასახასიათებლად ერთ სიტყვას შევარჩევდი — „მზარდი“. დიახ, ეს აშკარად მზარდი სექტორია, ამის დასტურია თუნდაც ის, რომ თითქმის ყველა უბანში ახალ-ახალი მშენებლობები მიმდინარეობს. სხვათა შორის, პრობლემებიც არ გვაშინებს იმიტომ, რომ ეს პრობლემები არაფერია იმ კრიზისთან შედარებით, რომელიც უკვე გამოვიარეთ. უკვე გითხარით, რომ ეს სეზონი სამშენებლო ბიზნესში აქტიურობით არ გამოირჩევა და ჩვენც უახლოეს თვეებში ველოდებით ბაზრის გააქტიურებას.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

სულიერება

# კვირაცხოვლობა — დღესასწაული სიცოცხლისა

**19 აპრილს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კვირაცხოვლობას, რომელსაც ეწოდება ახალი კვირა, აღდგომიდან მე-2, თომას კვირა.**



...აღდგომის კვირას იესო ქრისტემ ყველა მოციქული ნახა, თომას გარდა. თომა გვიან მოვიდა, მოწაფეებმა უთხრეს: „ჩვენ უკვე ვნახეთ უფალი!“ მაგრამ ურწმუნო თომამ არ დაიჯერა. ერთი კვირის შემდეგ მოწაფეები ისევ შეიკრიბნენ, თომაც მათთან ერთად იყო. იესო ქრისტე კვლავ გამოეცხადა და უთხრა: „მშვიდობა თქვენ“, მერე კი თომას მიმართა: „მომეცი ხელი და შეახე ქრილობას ჩემი გვერდისას და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ იყავი „მორწმუნე“.

გადმოცემაში წერია: თომამ შეჰღაღადა: „უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო. იესო ქრისტემ უთხრა: „შენ ირწუნე, რადგანაც მნახე, მაგრამ ნეტარ არიან ისინი, რომლებმაც არ მიხილეს და მირწმუნეს“.

მოციქულ თომას კვირას დღესასწაულზე, ლიტურგიაზე იკითხება სათანადო მონაკვეთები სახარებიდან.

რაც შეეხება დღესასწაულის აღნიშვნას, ის, ძველად საქართველოში დილაადრიან იწყებოდა, ანჩისხატის ეკლესიასთან მოასვენებდნენ ხატს, წირვა-ლოცვის შემდეგ კი იმართებოდა სახალხო დღესასწაული — სანახაობა, ჯირითი, ცეკვა-თამაში და სხვ.

ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში ტაძარში, პატარა მაგიდაზე დადებული საგანგებოდ გამომცხვარი პური „არტოსი“ განსაკუთრებულ მადლს იძენს წმინდა ადგილას, რომელსაც მორწმუნეებს კვირაცხოვლობას ურიგებენ. არტოსი კურნავს სულს და ხორცს.

სრულიად საქართველოს შეგეწიოთ კვირაცხოვლობის მადლი!

**გიული ლიპარტია**

## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

# სკანვორდი



რეკლამა

29 3-37-87;

568 82-09-84.

## ცინცხალი ანეკდოტები

**ინგლისური** ენის შემსწავლელთათვის — მიდიხართ რომელიმე ინგლისურენოვან ქვეყანაში. ჩასვლისთანავე პირველივე შემხვედრს ცხვირპირს დაუნაყავ და მოხვდები ციხეში. უფასო ჭამა-სმა, უფასო თავშესაფარი და ენასაც ერთ წელიწადში შეისწავლი. შესაძლებელია ამ პროცედურის განმეორება, თუ აქცენტის გამოსწორება გსურთ.

* * *



**ქალი** ყოველთვის ადვილად ნებდება მას, ვინც არ მოსწონს, ხოლო, ვინც მოსწონს და უყვარს, მას ყოველთვის ეწინააღმდეგება. ქალური ლოგიკაა, საყვარელს სურს დაუმტკიცოს თავისი უბიწოება, ხოლო სხვას — თუ როგორი ბოზია.

* * *

**ქალის** ხელჩანთის თვისებაა — რაც უფრო დიდი ზომისაა, მით უფრო მეტი საჭირო ნივთი გამოჩნდება ხოლმე, რაც მისმა პატრონმა აუცილებლად უნდა ატაროს.

* * *

— **მარო,** წუხელ მთელი ღამე გირეკავდი და, მიუწვდომელიაო, სად იყავი?

— აბა, მიხოსა ჰკითხე მიუწვდომელი თუ ვიყავი.

* * *

— **დაივიწყეთ** წელის ტკივილი, თავის ტკივილი, ჰიპერტონია, დაივიწყეთ ყველაფერი, რაც აქამდე გაწუხებდათ, თქვენ ხომ გაქანებული სკლეროზი გაქვთ.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24